ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ვინ არის ქართველი ექიმი, რომელიც ახალშობილებით ვაჭრობის საქმეში ფიგურირებს

გვ.5



ორშაბათი, 14 აგვისტო, 2023 №158 (9194) ფასი: 80 თეთრი

# „ოპოზიციამ გამოიძიოს, შოვში ახალი სასტუმროების მშენებლობის ნებართვა ვინ გასცა“

თორნიკე შარაშენიძე: „რიკოთის გზის მშენებლობა, ეს ისეთი პროექტია, უკავშირდება არა მხოლოდ ადამიანების უსაფრთხოებას, უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებასაც. ქვეყანა რეალურად ორ ნაწილადაა გაჭრილი. არ არსებობს წესიერი გადასასვლელი“





გვ.2



## „თუ უნდათ, ქირისუფლებს ღირსება დაუბრუნონ, შოვის ტრაგედია მიუკერძოებლად გამოიძიონ“

გვ.3

თენგიზ დიხამინჯია: „უნდა მოვითხოვოთ სიმართლის დადგენა, რისკების გათვლა, მისი შეფასება, კრიზისში მყოფი ქვეყნის ახსნა-განმარტება და სწორი ანალიზი, მსგავსი ტრაგედია მომავალშიც რომ არ განმეორდეს“

## მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციამ ხელისუფლებას კომუნისტების დროს აგებული კოტეჯების მშენებლობის ნებართვის გაცემა დააბრალა“



გვ.4

„ლელო“: „ხელისუფლება გაიხლართა პროპაგანდაში“

## ვახტანგ გომელაური შოვში სამაშველო სამუშაოებს გაეცნო



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილებაა“



გვ.3

1993230720223

**5** მასშტაბური თაღლითური სქემა, რომლის მსხვერპლიც ასზე მეტი ემიგრანტი გახდა

**2** შალვა ნათელაშვილი: „გლოლას ბირჟაზე იჯდა მეთვალყურე ქოც-კოორდინატორი, რათა ვინმეს ხმა არ დაეძრა მთავრობაზე“

**5** რუსთავში კაცმა ყოფილი ცოლი დაჭრა

**6** პუტინის გეგმები ჩაიშალა, მაგრამ მიაღწევს კი უკრაინა სრულ გამარჯვებას?!

# „ოპოზიციამ გამოიძიოს, შოვში ახალი სასტუმროების მშენებლობის ნებართვა ვინ გასცა“

ნონა ცაბაძე



## თორნიკე შარაშენიძე: „რიკოთის გზის მშენებლობა, ეს ისეთი პროექტია, უკავშირდება არა მხოლოდ ადამიანების უსაფრთხოებას, უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებასაც. ქვეყანა რეალურად ორ ნაწილადაა გაჭრილი. არ არსებობს წესიერი გადასასვლელი“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***— ბატონო თორნიკე, ამ მძიმე ფონისა და ამხელა ტრაგედიის მიუხედავად, საზოგადოებაში ოდნავაც არ შემცირებულა დაპირისპირება. პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდა. შოვის ტრაგედიაში ერთი მხარე აქტიურად იცავს ხელისუფლებას, მეორე მხარე თავს ესხმის. ტრაგედიებზეც არ გამოგვდის ერთსულოვნება. როგორია თქვენი შეფასებები, რა სიტუაციაში გვიწევს ცხოვრება? რამდენად შეეძლო ხელისუფლებას უკეთ მოქმედება და რამდენად სამართლიანია ეს კრიტიკა?***

— უმჯობესია, თუ ამ საქმის სპეციალისტები გაერკვევიან, რა მოხდა იქ და როგორ იმუშავეს. რაც მოვისმინე, არცერთი არ იყო სპეციალისტი, ზოგი იცავდა და ზოგიც აკრიტიკებდა. გამოჩნდა ის, რომ ერთი და იგივე ადგილს ვტკეპნით და კვლავაც ვიმყოფებით ამ სიტუაციაში. ასე ხდება ხოლმე, ძლიერი ლიდერები ერს ყოფენ ორ ნაწილად, ასე იყო გამსახურდია და ასე იყო სააკაშვილიც. დღემდე ასე მოვდივართ – ორი დაპირისპირებული მხარე.

***— სულ ვისმენთ შეფასებებს, რომ არა სოციალური ქსელი და ორთქლის გამოშვება რომ არ ხდებოდეს, ალბათ სამოქალაქო ომს მივიღებდითო.***

— კი, ასეა, სამწუხაროდ. მადლობა ღმერთს, რომ ჯარი არ გამოდის და გასამხედროებული ბანდები არ დადიან ქუჩაში. კიდევ კარგი, რომ ეს სიტუაცია არ არის.

***— რამდენად სწორი და სწრაფი რეაგირება ჰქონდა ხელისუფლებას, რაზეც ამ დრომდე მიდის დავა და კამათი? ან თუ იყო მცირე შანსი მაინც, ამხელა მსხვერპლის თავიდან არიდების?***

— მეც ბევრი შეფასება მოვისმინე, ბევრი კითხვა ჯერ პასუხგაუცემელია. ფაქტია, რომ ამხელა მთა მოწყდა და დამარხა ხალხი. როცა საქმის სპეციალისტი არ ხარ, ზედაპირული შეფასებები და საუბარი არ არის სწორი. ასეთ სიტუაციაში ყოველთვის ვერიდები ხოლმე ვინმეს კრიტიკას ან დაცვას.

***— ოპოზიციის მხრიდან ქულების დაწერის მცდელობას აქვს ადგილი და ამიტომ ესხმიან ასე მწარედ თავს ხელისუფლებასო. რამდენად ფიქრობთ, რომ ასეა?***

— ეს საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა. მე მგონი, ეს კრიტიკა, საბოლოო ჯამში, არაფერს ცვლის. ოპოზიციის მომხრეები ისევ მათ მომხრეებად რჩებიან, ხოლო მოწინააღმდეგეები არ იცვლიან პოზიციას, პირიქით, უფრო მყარდება პოზიციები ხელისუფლების მიმართ. მე რასაც ვაკვირდები, ასეა. ბევრს რჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია ჩასაფრებულია და ასეთი უბედურების დროსაც ქულების დაწერას ცდილობს. ოპოზიციას კი ამ სიტუაციაში არანაირი ქულა არ დაუწერია.

***— ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ომისა და სტიქიური უბედურების დროს, პირიქით ხდება, ხელისუფლების პოზიციები მყარდება და რატომ ვერ ხვდება ოპოზიცია, რომ ასეთი კრიტიკით კიდევ უფრო წამგებიან პოზიციაში არიანო.***

— დიახ ასეა. მეც ამიტომ ვთქვი, რომ საბოლოო ჯამში ოპოზიცია წაგებული რჩება. ვერანაირი ქულა ვერ დაიწერეს. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერ მოიგეს ვერაფერი.

***— საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ. ეს რის მომცემია?***

— არა მგონია, ვინმემ რაიმე ახალი აღმოაჩინოს. ოპოზიცია ცდილობს, აღმოაჩინოს დანაშაული, გულგრილობა, არაპროფესიონალიზმი და საკითხავია, ვისი მხრიდან? მაშველების მხრიდან?! რომლებიც ვხედავთ 24-საათიანი რეჟიმით როგორ მუშაობენ. თუ რას ცდილობენ, ვინ უნდა გამოიჭირონ რამეში?! ეს ჩემთვის გაუგებარია. სხვა საქმეა, იქ მშენებლობის ნებართვების გაცემა. ამაზე ილაპარაკონ, ეს უფრო მნიშვნელოვანია, საბოლოო ჯამში. ვინ გასცა იქ ახალი სასტუმროების მშენებლობის ნებართვა. ეს გაარკვიონ და ამაზე იდავონ. არც სხვაგან გვაქვს ამ კუთხით სახარბიელო სიტუაცია. ღმერთმა გვაშოროს და სხვაგანაც არ მოხდეს მსგავსი უბედურება. სტიქიური მშენებლობები მიდის, მათ შორის, თბილისში. აი, ეს არის გამოსაკვლევი. ამ კუთხით დასვან კითხვები და არა ის, შოვში ვერტმფრენი რამდენ ხანში მივიდა! მე ვერავინ დამაჯერებს, რომ დაეზარა ვინმეს და გვიან გაფრინდნენ. ეს დიდი სისულელე მგონია.

***— ახლა რიკოთის მიმართულებითაა დიდი ამბავი. ბევრი თვლის რომ ოპოზიციამ ახლა ამოიღო ხმა და ქულების დაწერა უნდათ აქაცო. რამდენი წელია ეს გზა შენდება და სად იყვნენ აქამდე? ხელისუფლება აცხადებს, რომ ყველაფერი რიგზეა და სახიფათო სიტუაცია ნამდვილად არ არის. არა და ვხედავთ, რომ რიგზე ნამდვილად არაა ყველაფერი. თქვენ რას იტყვით?***

— ამ დღეებში რამდენჯერმე მომიწია გავლა. მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად ვიმგზავრე. ამდენ იწილო-ბიწილოს, ჩამოიყვანონ საერთაშორისო, მაღალი დონის ექსპერტები, მიუკერძოებლები და დაადებინონ დასკვნა. არის საკითხები, რაც, რა თქმა უნდა, უკავშირდება არაპროფესიონალიზმსა და კორუფციას. არის საკითხები, რაც ბუნებრივ, სტიქიურ მოვლენას უკავშირდება. აქ გასარკვევია ბევრი რამ. ყველაფერი კეთდება ისე, რომ მინიმუმამდე დავიდეს სტიქიური უბედურებიდან მოტანილი მსხვერპლი, თუ არ კეთდება?! აი, ეს არის მნიშვნელოვანი. რიკოთის გზის მშენებლობა, ეს ისეთი პროექტია, უკავშირდება არა მხოლოდ ადამიანების უსაფრთხოებას, უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებასაც. ქვეყანა რეალურად ორ ნაწილადაა გაჭრილი. უკვე ამდენი ხანია, არ არსებობს წესიერი გადასასვლელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს უკავშირდება ეკონომიკას, ეროვნულ უსაფრთხოებას, მოკლედ, ძალიან ბევრ რამეს უკავშირდება.

***— საუბრობენ იმაზეც, რომ საკმაოდ რეპუტაციაშელახულია ის ჩინური კომპანია, რომელიც ამ სამუშაოებს აწარმოებსო.***

— ეს საკითხი ნამდვილად არ ვიცი.

***— ჩვენს ხელისუფლებას ბოლო პერიოდია საკმაოდ თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა ჩინეთთან და ესეც იწვევს ოპოზიციაში გაღიზიანებას.***

— ჩინეთთან ურთიერთობა, ეს ის თემაა, ვერც აქ შეძლებს ოპოზიცია ქულების დაწერას. ოპოზიციამ ახლა დაიწყო ჩინეთის ლანძღვა, როცა ღარიბაშვილი ჩავიდა ჩინეთში. უბრალოდ ასე გამოდის. მანამდე ხმას არ იღებდნენ. ახლა, გამოდიხარ და ეუბნები შენს ამომრჩეველსა და მოსახლეობას, რომ ჩინეთი ცუდია. რატო, კაცო, რაშია საქმე?! ოპოზიცია აქაც არასწორი გზით მიდის, მე რასაც ვუყურებ. პირიქით, საშუალო სტატისტიკური მოქალაქე, ალბათ, იტყვის, რომ, რაც მეტ ქვეყანასთან ვიქნებით კარგად, უკეთესია. შიში იმის, ხომ არ ხდება პოლიტიკურად ორიენტაციის შეცვლა და ასე შემდეგ, არ მგონია, ასე იყოს. თვითონ ჩინეთს არ სჭირდება დღეს აქ პროჩინური განწყობების შექმნა.

შოვის ტრაგედია, ჩინეთთან დაახლოება, კანდიდატის სტატუსი, სამწუხაროდ, ოპოზიცია ამ საკითხებზე ისეთ მესიჯებს აგზავნის, რაც საბოლოო ჯამში მოსახლეობამდე არ მიდის კარგად და ისევ თვითონ ზარალდებიან. ეს ფაქტია და ამას ვუყურებთ ჩვენ. ეს აქვთ გასარკვევი, სისტემურ პრობლემასთან აქვთ საქმე. ხელისუფლებასაც აქვს შიგნით სისტემური პრობლემები, არაჯანსაღი მართვის მოდელი და ასე შემდეგ, მაგრამ ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ მათი პოზიცია ხალხამდე ვერ მიდის ისე, როგორც საჭიროა.

***— სწორი მესიჯები არ არის?***

— კი, ბატონო, ასეა. ყველა შემთხვევაში, რაც ჩამოვთვალეთ, სულ ეს პრობლემა აქვთ. არასწორ დასკვნებს აკეთებენ. გამოდის, რომ ბოლოს ისევ ეს სუსტი ხელისუფლება რჩება მოგებული. რამდენჯერ მომისმენია, თვითონაც გამწარებით ამბობენ ხოლმე, ამდენი წელია ამ ხელისუფლებას ვერაფერი ვუყავით და რაშია საქმე?! პრობლემა თავის თავში უნდა ეძებონ, ცხადია. ვერ გამოაქვთ დასკვნები. ხალხს ვერ დააბრალებენ, რომ მათი ბრალია ოპოზიციის სისუსტე. დაახლოებით ის სიტუაციაა, ზოგიერთი მწერალი, რომ დაწერს რაღაცას და ვერ დაიმსახურებს მოწონებას და აღიარებას, თავად ჰგონია, რომ გენიალური ნაწარმოებია და არ კითხულობს არავინ. ჰგონია, რომ ხალხის ბრალია, მათ არ აქვთ გემოვნება.

***— მწერალი ახსენეთ და რომ იტყვიან, წმინდა აღარაფერი დარჩა, ყველაფერს შეეხნენ და ყველაფერს ლანძღავენ. იმის გამო, რომ ქეთევან დუმბაძე მწერალთა სახლს უხელმძღვანელებს, თურმე ნოდარ დუმბაძე ძალიან ცუდი მწერალი ყოფილა.***

— კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმის, რაზეც ჩვენ ზემოთ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ვახტანგ გომელაური შოვში სამაშველო სამუშაოებს გაეცნო



შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში, იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სტიქიის ზონა ვერტმფრენიდან დაათვალიერა და მიმდინარე სამუშაოების მასშტაბებსა და ძებნა-შველის სამუშაოებს დეტალურად გაეცნო.

ვახტანგ გომელაური სტიქიის ეპიცენტრში მომუშავე მეხანძრე-მაშველებსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს გაესაუბრა და ძებნა-შველის ღონისძიებებს დაესწრო.

მინისტრმა სამუშაო შეხვედრა საველე შტაბშიც გამართა, სადაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის, თემურ მღებრიშვილისგან არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მიიღო.

შინაგან საქმეთა მინისტრი, მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაკარგული პირების ოჯახის წევრებს შეხვდა და გარდაცვლილი პირების ახლობლებს მიუსამძიმრა.

# რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა იზმაილის პორტისკენ მიმავალ გემს ცეცხლი გაუხსნა

13 აგვისტოს, დაახლოებით 06:40 საათზე შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედროებმა მშრალი ტვირთის გემს შესაჩერებლად და შესამოწმებლად „გამაფრთხილებელი ცეცხლი“ გაუხსნეს. პალაუს დროშის ქვეშ მცურავი გემი უკრაინის პორტ იზმაილისკენ მიემართებოდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, გემის კაპიტანი არ დაემორჩილა მოთხოვნას შეჩერებულიყო „აკრძალული ტვირთის გადაზიდვის შესამოწმებლად“, რის გამოც, მისი მისამართით რუსული საპატრულო გემ „ვასილი ბიკოვიდან“ „გამაფრთხილებელი ცეცხლი“ გახსნეს.

რადიოკავშირის შედეგად სატვირთო გემი გაჩერდა და მასზე რუსი სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი ვერტმფრენიდან დაეშვა. შემოწმების შემდეგ, გემმა მოძრაობა განაგრძო იზმაილის პორტისკენ.

შეგახსენებთ, 17 ივლისს რუსეთმა ცალმხრივად დატოვა „მარცვლეულის შეთანხმება“ და დაიმუქრა, რომ შავ ზღვაში უკრაინის პორტებისკენ მიმავალ ყველა გემს „სამხედრო ტვირთის პოტენციურ გადამზიდად“ განიხილავდა.

# შალვა ნათელაშვილი: „გლოლას ბირჟაზე იჯდა მეთვალყურე ქოც-კოორდინატორი, რათა ვინმეს ხმა არ დაეძრა მთავრობაზე“



— გლოლას ბირჟაზე იჯდა მეთვალყურე ქოც-კოორდინატორი, რათა ვინმეს ხმა არ დაეძრა მთავრობაზე, – ეს განცხადება ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გააკეთა.

ნათელაშვილის თქმით, სტიქიის ზონაში ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობაზე ზეწოლას ახდენდნენ. ოპოზიციური პარტიის ლიდერი ამბობს, რომ მოსახლეობა მასთან თავისუფლად ვერ საუბრობდა, რადგან „ოცნებას“ „მეთვალყურეები“ ჰყავდა თითოეულ სოფელში გაგზავნილი.

გლოლას ბირჟაზე იჯდა მეთვალყურე ქოც-კოორდინატორი, რათა ვინმეს ხმა არ დაეძრა მთავრობაზე ან ჩამოსულ სტუმრებს გადაბრუნებული მთავრობაზე არ ეთქვა, აკონტროლებდა. ეს ხალხიც დაზაფრული სტიქიისგან, შევატყვე, რომ რიდი აქვთ იმის, იციან, რომ მის უკან დგას ივანიშვილისგან ნაყიდი სახელმწიფო, – ამბობს ნათელაშვილი.

# ირაკლი კუპრაძე: „ხელისუფლებამ პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს“



— ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ცალსახა, მან ეს პოლიტიკური და, მათ შორის, სამართლებრივი პასუხისმგებლობა ღიად უნდა აიღოს, – ეს განცახდება „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი კუპრაძემ გააკეთა.

კუპრაძე შოვის ტრაგედიას ეხმაურება და ამბობს, რომ სრული პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება, რადგან სწორედ ხელისუფლების ვალია ადრეული გაფრთხილების სისტემის დაყენება.

ამ ქვეყნის ეროვნული ტრაგედია არის ის, რომ მძიმე შემთხვევების შემდეგ არაფერი იცვლება უკეთესობისკენ. ეს ცალსახად ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება არის უმოქმედო, უუნარო, არაკომპეტენტური და ის არ ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის ინტერესებზე. რაც მთავარია, რომ მსგავსი შემთხვევების შემდეგ გამოვლინდეს ყველა ის მძიმე დარღვევა, ხარვეზი ქვეყნის მართვაში, რომელიც დღის წესრიგში არსებობს და ეს ხარვეზები უნდა მოგვარდეს, დაწყებული ვერტმფრენიდან, დამთავრებული ადრეული შეტყობინების მექანიზმების დამონტაჟებით, სარისკო ადგილების შესწავლით, ხელისუფლება ამას არ აკეთებს და მისი პასუხისმგებლობა არის ცალსახა, მან ეს პოლიტიკური და მათ შორის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ღიად უნდა აიღოს, – ამბობს ირაკლი კუპრაძე.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თუ უნდათ, ჭირისუფლებს ღირსება დაუბრუნონ, შოვის ტრაგედია მიუკერძოებლად გამოიძიონ“

## თენგიზ დიხამინჯია: „უნდა მოვითხოვოთ სიმართლის დადგენა, რისკების გათვლა, მისი შეფასება, კრიზისში მყოფი ქვეყნის ახსნა-განმარტება და სწორი ანალიზი, მსგავსი ტრაგედია მომავალშიც რომ არ განმეორდეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.**

***— ბატონო თენგიზ, როგორც ვიცი, შოვის ტრაგედიისას თქვენ ონში იმყოფებოდით. თქვენი შეფასება როგორია?***

— რაჭის რეგიონსა და მთელ საქართველოს ვუსამძიმრებ ამ უმძიმესი ტრაგედიისა და უდროოდ [?] დაღუპული [?] ... ადამიანების დაკარგვის გამო. ეს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი და ტრაგიკული დღეებია. ასეთი დღეები საქართველოს ბევრი გადაუტანია, მათ შორის, აღნიშნული მოვლენები და ტრაგიკული დღეები, სამწუხაროდ, გამორჩეულია.

იმ დღეებში იქ გახლდით და მთელი სიცხადით, მთელი ტრაგიზმით განვიცადე ის, რაც ხდებოდა. მე, ჩემი მოქალაქეობრივი მრწამსიდან გამომდინარე, გადავდგი ნაბიჯი და ონის მერიას დახმარება შევთავაზე. რასაც კი დამავალებდნენ, გავაკეთებდი.

ეს თემა რომ გავშალოთ და ამ მოვლენებს მიუკერძოებლად შევხედოთ, მართლა სავალალო მდგომარეობაა. სახელმწიფო ინსტიტუტების დონეს ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი გვიკლია. მაღალი სახელმწიფო სტანდარტებისაგან ძალიან შორს ვართ, როგორც მენტალურად, ისე მოქალაქეობრივად, ტექნოლოგიურად და ეროვნული თანხმობის თვალსაზრისით.

ტრაგედიაა, რომ ჩვენი ძველი უმძიმესი სენიდან გამომდინარე, ერთმანეთთან ვერაფერზე ვთანხმდებით, ის, რაც ქართველებზე შაჰ აბასმა თქვა, სრულდება. შაჰ აბასმა თქვა: ღმერთმა არ ქნას, ქართველებს ერთი პირი ჰქონდეთ, თორემ მთელ მსოფლიოს დაიპყრობენო. თანამედროვე ენაზე ეს იმას ნიშნავს, ღმერთმა არ ქნას, ქართველები ერთ, საერთო ეროვნულ იდეაზე შეთანხმდნენო.

სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ ხერხდება კრიმინალური მენტალიტეტის, არაპროფესიონალიზმის, არასახელმწიფოებრივი აზროვნების გამო. მიზეზები ბევრია და ეს მარტო ამ მთავრობის დამსახურება არ არის.

მომხდარი უბედურების მთავარი მიზეზი ისაა, რომ შეტყობინების სისტემა, აბსოლუტურად, მოშლილი იყო. შეტყობინება ნიშნავს, უპირველესად, ინფორმაციის პირველწყაროს, მთელი ტექნოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, ამ პროექტის არსებობას, რაც შემდგომ უკვე ადეკვატურად, ტექნოლოგიურ დონეზე რისკების გათვლასა და სამაშველო ოპერაციების ჩატარებას.

***— შეტყობინების სისტემა მდინარე ჭანჭახზე დგას და არა ბუბისწყალზე, რომელიც ჭანჭახის შენაკადია. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მდინარე ჭანჭახზე არსებული ჰიდროლოგიური სადგურის (ავტომატური წყლის ხარჯვის მზომი სენსორი) მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მდინარე ბუბისწყლის ხეობაში წყლის ხანგრძლივ შეგუბებას არც სტიქიის განვითარებამდე და არც სტიქიის განვითარების პროცესში ადგილი არ ჰქონია. ეს თქვენ არ გჯერათ?***

— არა. ღრმა პროფესიონალურ ხვეულებში შესვლა და ხელისუფლების სატელიტების პოზიციების გადმომღერება, სხვას მივანდოთ.

***— მე ამ ინფორმაციის გადმომღერებას კი არ ვახდენ, კითხვას ვსვამ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ამ მონაცემებზე, ის ასეთ ანალიზს აკეთებს და ეს არ გჯერათ-მეთქი?***

— მე არც ერთი მხარის ადეპტი არ ვარ, არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები. მე პრობლემებზე მოგახსენებთ და პირდაპირ იმას არ ვასკვნი, რა ხდებოდა, როგორ არის, მეცნიერების აზრი რამდენად იყო გათვალისწინებული – ეს ცალკე სალაპარაკოა.

იმ მონაცემებზე, რაზეც თქვენ კითხვას მისვამთ, სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. სხვადასხვა აზრს მოვისმენ და ვინც კანონზომიერებასა და სიზუსტეში დამარწმუნებს, მას დავეთანხმები და იმის მხარეს დავიჭერ.

ამ თემაზე არსებობს სხვადასხვა მეცნიერული ხედვები, რომლებიც ექვემდებარება გადახედვას და დაზუსტებას, რაც გარკვეულ კომისიას უნდა მივანდოთ. არც ღარიბაშვილის მხარდაჭერა მაინტერესებს, არც – ოპოზიციის.

***— ვინმეს მხარის დაჭერა არც მითხოვია.***

— მე მაინტერესებს მიუკერძოებელი აზრი. ვერავის პოზიციას წინასწარ ვერ დავიკავებ და



ვერ დავეთანხმები. მთავარი პრობლემა შეტყობინების სისტემა და მის მონაცემებზე ადეკვატური რეაგირებაა.

როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა ამბობდა, ბუნება მბრძანებელია, თავის კანონებს ექვემდებარება. სტიქიის წინაშე ადამიანი უძლურია. ადამიანს სტიქიის მართვა, ბუნებრივია, არ შეუძლია, მაგრამ მას შეუძლია, ადეკვატური, მაქსიმალურად მოწესრიგებული პოზიცია დაიკავოს წინასწარ პროექტშივე და ტექნოლოგიურად.

მაგალითად, შვეიცარიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც ამდაგვარი სტიქიური მოვლენების დიდი საშიშროებაა, სწორი რეაგირება ხდება. ეს ჩვენც უნდა ვისწავლოთ.

***— ბევრი ჰიდროლოგიური სადგური რომ გვჭირდება, ცხადია, მაგრამ, მაგალითად, უცხოელი მეცნიერი, გეომორფოლოგი რეიმონდ ტორესიც ამბობს, რომ შოვის ტიპის მეწყრის დინების სიჩქარემ შესაძლოა საათში 30 კილომეტრს მიაღწიოს. მასა გზადაგზა იზრდება და გამანადგურებელი ხდება. ამ ტიპის მეწყერის წინასწარ პროგნოზი ძალიან ძნელია. ამაზე რას იტყვით?***

— ყველაფერს თავისი სპეციფიკა აქვს. ნორვეგიასა და ალპებში რა სისტემაა, შედარება არ შეიძლება. მაშინ ორივე მხარე უნდა მოვიყვანოთ.

***— ქართველი ჰიდროლოგი დავით კერესელიძეც იგივეს ამბობს.***

— კი, ბატონო. გარკვეული პოლიტიკანი ოპოზიციიდან და მთავრობიდან რას იტყვიან, საინტერესო არ არის. ყველაზე დიდი შეცდომა ამ ხელისუფლებამ რაც დაუშვა, რომელსაც ვერანაირი ექსპერტი ვერ გაამართლებს, ისაა, რომ 3 აგვისტოს, როცა ტრაგედია მოხდა, იმ პერიოდში გამოცხადდა, სამუშაოები, როგორც ასეთი, შეწყდება და გარკვეულწილად, ვერც ვერტმფრენები, ვერც არსებული ტექნოლოგიები ამას ვერ უზრუნველყოფენო. ის დღე, ფაქტობრივად, წყალში გადაიყარა.

***— სად გამოაცხადა ხელისუფლებამ, 3 აგვისტოს სამაშველო სამუშაოებს ვწყვეტთო? მთელი ყურადღებით ვუსმენ ყველა განცხადებას, პრესკონფერენციას, თვალყურს ვადევნებ სოციალურ ქსელებს, მაგრამ არსად მომისმენია, ვინმეს ეთქვას, სამაშველო ოპერაცია წყდებაო.***

— საუბარია სამაშველო ოპერაციებზე იმ დღეს, როდესაც ტრაგედია მოხდა – ჩვენს ძალებს არ ხელეწიფებათ ადამიანების გადარჩენა და, გარკვეულწილად, სამაშველო ოპერაცია შეწყდა.

***— ეგ განცხადება სად არის, სად გაკეთდა? ეგ არის ტყუილი.***

— ეს ცხადზე ცხადია და მთავარ ბრალდებად ამას უყენებენ.

***— ცნობილია, რომ სამაშველო ოპერაცია ღამითაც გაგრძელდა. ღამით სითბური დრონებით მუშაობდნენ. რომლებიც არანაკლებია, ვიდრე შვეულმფრენები, რომლებსაც ღამით, იმ პირობებში, რაც შოვშია, ოპერირება უჭირდათ.***

— ადამიანების გადარჩენა აშკარად შეიძლებოდა. თქვენ რომ კაცმა მოგისმინოთ, იტყოდა, ამ მთავრობას პრობლემა არ ჰქონია და ყველაფერი მაღალ დონეზე შეუსრულებიათო.

***— სითბური დრონებით მუშაობდნენო და მაღალი დონე იყო თუ დაბალი, გამოჩნდება. არ არის დამალული, რომ არ გაცხადდეს.***

— გეუბნებით, როგორ უნდა გამოჩნდეს. ეს გადაწყვიტოს დროებითმა კომისიამ, სადაც შევლენ არა ვილაც მხარის წარმომადგენლები (მე არავის მხარეს არ ვარ), არამედ დამოუკიდებელი ექსპერტები.

უნდა მოვითხოვოთ სიმართლის დადგენა, რისკების გათვლა, მისი შეფასება, კრიზისში მყოფი ქვეყნის ახსნა-განმარტება და სწორი ანალიზი (მსგავსი ტრაგედია მომავალშიც რომ არ განმეორდეს), ამის დასადგენად, ცალკეული ადამიანების (სამთავრობო იქნება, თუ არასამთავრობო) ცალ კარში თამაში არაფრის მომტანია.

თუ უნდათ, ჭირისუფლებს ღირსება დაუბრუნონ, ამ პროცესების სამართლიანი და მიუკერძოებელი განხილვა უნდა მოხდეს. დროებითი კომისია შექმნან თვითმხილველების, მეცნიერების, სამოქალაქო სექტორისა და რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკოსების მონაწილეობით. განიხილონ და მთელი საქართველო დაარწმუნონ.

თქვან, რა მოხდა, რა არის გამოსასწორებელი ტექნოლოგიურად, მართვის სისტემაში რა პრობლემებია, კრიზისის მართვაში რა პრობლემები იყო, რომ ერთობლივად იქნას შემუშავებული სამართლიანობის აღდგენის მექანიზმები. სახელმწიფოებრივი ხედვა უნდა აღემატებოდეს პოლიტიკურსა და კონიუნქტურულ ხედვებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველო და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილებაა“

— საქართველო და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული გადაწყვეტილებაა და ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ცენტრალურ ტელევიზიასთან (CCTV) ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სი ძინპინს ჩინეთში მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ისტორიული ვიზიტის შემდეგ, საქართველოში კონკრეტული, ხელშესახები შედეგებით ბრუნდება.

— ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა პრეზიდენტ სი ძინპინთან. ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მასთან. კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო გულწრფელი მადლიერება მისდამი ჩინეთში მოწვევისთვის. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო არსებული ურთიერთობის შემდეგ დონეზე აყვანის გადაწყვეტილება, რომელიც ერთად მივიღეთ. ამდენად, საქართველო და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ, რაც მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება ეს ძალიან მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, ისტორიული გადაწყვეტილება.

ამიტომ, ნამდვილად კმაყოფილი ვარ, ძალიან სასიამოვნოა, რომ ეს შესაძლებელი გავხადეთ. დღეს სიამაყით ვამბობ, რომ ჩინეთი და საქართველო უკვე სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამიტომ, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ეს ისტორიული



ვიზიტია და შინ კონკრეტული, ხელშესახები შედეგებით ვბრუნდები, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

— პრეზიდენტი სი ძინპინი ჭეშმარიტად სამაგალითო ლიდერი და მასშტაბური ხედვის მქონე, ბრძენი ადამიანია, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა თავისი დიდი ერისთვის, სრულად ვუჭერთ მხარს მის ინიციატივებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ცენტრალურ ტელევიზიასთან ( CCTV) ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ჩინეთის მთავრობასთან და პრეზიდენტ სი ძინპინთან ორმხრივი კავშირების, ურთიერთობის, მეგობრობისა და ნდობის გაძლიერებით დაინტერესებულია.

— გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ პრეზიდენტი სი ძინპინი ჭეშმარიტად სამაგალითო ლიდერია. ის მასშტაბური ხედვის მქონე, ბრძენი ადამიანია, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა თავისი დიდი ერისთვის. ის ძალიან ამბიციურ პროექტებსა და რეფორმებს ახორციელებს თქვენი ქვეყნისა და ერისთვის.

მიმაჩნია, რომ ის შთაგონების მომცემი ლიდერია. ორმხრივი შეხვედრისას ვისაუბრეთ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის, მმართველობისა და სხვა ინიციატივების შესახებ, რომლებიც ჩინეთიდან და პრეზიდენტ სი ძინპინისგან მოდის. ძალიან დაინტერესებული ვარ ჩვენი ორმხრივი კავშირების, ურთიერთობის, მეგობრობისა და ნდობის გაძლიერებით ჩინეთის მთავრობასთან და პრეზიდენტ სი ძინპინთან. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ სრულად ვუჭერთ მხარს პრეზიდენტ სი ძინპინის ინიციატივებს და აქვე გეტყვით რატომ. ყველა მისი ინიციატივა მშვიდობისკენ, პროგრესისკენ, მოდერნიზაციისკენ, კეთილდღეობისა და განვითარებისკენ არის მიმართული. მიმაჩნია, რომ ეს შესანიშნავია! სწორედ ეს სჭირდება მსოფლიოს დღეს. მსოფლიოს დღეს მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა სჭირდება! ყველა ერზე ვამბობ, ეს მთელ პლანეტას სჭირდება!

— პრეზიდენტ სი ძინპინის ინიციატივები, ვიტყოდი, ჭეშმარიტად გამორჩეულია. მიმაჩნია, რომ ეს ინიციატივები შთაგონების წყარო იქნება ბევრი ერისა და ქვეყნისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# „ოპოზიციამ გამოიძიოს, შოვში ახალი სასტუმროების მშენებლობის ნებართვა ვინ გასცა“

ვსაუბრობდით. აილებენ ამ თემას სამთავრობო მედიები და მათი პროპაგანდა, კარგად შეფუთავენ და სათავისოდ კარგად დაატრიალებენ. გამოვლენ და იტყვიან, ამათ არც ხვიჩა კვარაცხელია უნდათ, არც ერეკლე მეფე, არც დავით აღმაშენებელი და არც ნოდარ დუმბაძე! ძალიან მიკვირს, ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ?! შენ რომ ხარ ტელეწამყვანი, ან ინფლუენსერი და ხარ ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერი, ხომ უნდა მიხვდე, რეალურად უკვე პოლიტიკაში ხარ ჩართული და ელემენტარულად ჩუმად მაინც უნდა იყო. უნდა შეეშვა მათ ლანძღვას, ვინც ხალხს ძალიან უყვარს. მაგალითად, მეც ძალიან მიყვარს ნოდარ დუმბაძე! ამდენს რატომ ვერ ხვდებიან, ჩემთვის გაუგებარია. მერე უკვირთ, რატომ ვერ ამარცხებენ ამ სუსტ მთავრობას. შეიძლება სუსტია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ სისულელეს ისინი არ ჩადიან. რაღაც-რაღაცებზე საერთოდ რომ გაჩუმდეს ოპოზიცია, ის ჯობია.

***— ბატონო თორნიკე, საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემებიდან უნდა დაიწყოს ოპოზიციამ და ამ ბოლოს ერთი ტენდენცია გამოიკვეთა, აქტიურად მიმდინარეობს კახა კალაძეზე თავდასხმა. ბევრი თვლის, რომ ეს „ოცნების“ მხრიდან არის ხსნილი. შოვის ტრაგედიით დაწყებული, ახლა „ლაგუნა ვერეს“ გაყიდვით დამთავრებული. რა ხდება, მართლაც გასცა ივანიშვილმა კალაძის ჩარეცხვის სიგნალი თუ რასთან გვაქვს საქმე? რატომ დაბრალდა კალაძეს მარიკა ვერულაშვილისთვის „ლაგუნა ვერეს“ მიყიდვა?***

— ვინ იყიდა, ეს რას ცვლის?! რადგან ყოფილი ნაცია? რამდენია „ოცნებაში“ ყოფილი ნაცი, თუ ამაზე მიდგა საქმე?! ამიტომ ამხელა აჟიოტაჟი ნამდვილად არ მესმის. რაც შეეხება შოვის ამბავზე, ის გიჟური თავდასხმები, ვფიქრობ, ამან უფრო გაძლიერა კალაძის პოზიციები. არც ერთმა ჭკუათმყოფელმა არ დაიჯერა, რომ კალაძემ გამოიყვანა თავის ბავშვები, ეს წინასწარ იცოდა და სხვები არ გააფრთხილა. არც ვერტმფრენით გამოუყვანა, დადასტურდა და ამიტომ ამან კალაძეს ვერაფერი დააკლო.

***— „ლაგუნა ვერე“ ხომ ბიძინასი იყო და კალაძეს რატომ დაბრალდა მისი გაყიდვა?***

— არ ვიცი. არ მესმის. საერთოდ, აუხსნელია ეს ჩემთვის. ისევ და ისევ არასწორი მიმართულებით იბრძვის ოპოზიცია. პრობლემების მეტი, რა აქვს ამ მთავრობას, ჩაიხედე ღრმად საკითხში და უფრო რეალურზე ედავე. მაგრამ არა, ისეთ ადგილას დაარტყამენ ხოლმე, სადაც, საბოლოო ჯამში, ისევ თვითონ რჩებიან ნაგებულები. საქმე იქამდე მიდის, რომ 2024-ში ოპოზიციის მარცხს ხალხი მშვიდად შეხვდება.

# მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციამ ხელისუფლებას კომუნისტების დროს აგებული კოტეჯების მშენებლობის ნებართვის გაცემა დააბრალა“

მარიამ მჭედლიშვილი

## „ლელო: „ხელისუფლება გაიხლართა პროპაგანდაში“



### სტიქიის ლიკვიდაცია და შეფასებები

გასულმა კვირამ 3 აგვისტოს შოვში დატრიალებული ტრაგედიის სალიკვიდაციო სამუშაოების, სტიქიის მიზეზების, დროულად რეაგირების შეფასებებისა და ამ თემაზე დაპირისპირების ფონზე ჩაიარა. ხელისუფლება იმეორებდა, რომ სტიქიის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მისი ოპონენტები კვლევა-გამოძიების ჩატარებას მოითხოვდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა უარყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მთავრობას მონიტორინგის სისტემების შესაქმნელად არაფერი გაუკეთებია.

– მასშტაბური დეზინფორმაციაა, თითქოს სახელმწიფოს არც მონიტორინგის სისტემაზე უზრუნია და არც ადრეული გაფრთხილების სისტემაზე. ხორციელდება პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში. ის გულისხმობს განგაშის სისტემების მოწყობას 10 თემში, – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ვასილ გედევანიშვილი ამბობს, რომ რაჭა-ლეჩხუმში ფუნქციონირებს ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური პარამეტრების საზომი 20 სადგური. სადამკვირვებლო პუნქტებიდან მიღებული მონაცემები არ იძლეოდა 3 აგვისტოს მდინარე ბუბისწყლის ხეობაში განვითარებული კატასტროფული მოვლენების პროგნოზირების საფუძველს.

საზოგადოების ნაწილი შოვის ტრაგედიის დეტალურ გამოძიებას მოითხოვს. პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით თავიდან პარტია „ხალხისათვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ მიმართა. მისი სიტყვებით, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ამ პროცესში ნეპოტიზმი, კორუფცია და გულგრილობა და უნდა გადაიდგას სისტემური ნაბიჯები სიტუაციის გამოსასწორებლად.

კომისიის შექმნა ასევე მოითხოვა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ.

საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს უჭერს საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი. ოპოზიციაში სკეპტიკოსებიც არიან, რომლებსაც არ სჯერათ, რომ კომისია სიმართლეს დაადგენს.

შოვის საკითხზე დროებითი საგამოძიებო კომისიის საკითხი დღის წესრიგში დადგება პარლამენტის საშემოდგომო სესიის დაწყებისას, სექტემბერში. უმრავლესობის წევრების განცხადებები ადასტურებს, რომ მმართველი პარტია ამ თემაზე კომისიის შექმნას მხარს არ დაუჭერს.

გასულ კვირაში მსჯელობდნენ სამაშველო ვერტმფრენების უქონლობაზე. პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა გამოაცხადა, რომ 3 ვერტმფრენი უკვე შეძენილია, რაც ადრევე მოხდა და რაჭის სტიქიას არ უკავშირდება.

– 3 ვერტმფრენი შეძენილია და ველოდებით მათ ჩამოყვანას. მეორე საკითხია სტიქიასთან ამ საკითხის მანიპულაციური დაკავშირება. მოვისმინეთ საგანგებო სიტუაციების სამსახურის ხელმძღვანელის ბრიფინგი, სადაც ის საუბრობდა, მათ შორის, ვერტმფრენების მობილიზებაზე. არის დრონები, რომლებიც მთელი ღამე მუშაობდნენ, – თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გააკეთა განმარტება გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ძველ დოკუმენტებზე. ისინი ეხება 2021 წელს სტიქიური პროცესების განვითარების შედეგებს 2022 წლის პროგნოზს. „მწვანე ალტერნატივა“ აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტების თანახმად, შოვისათვის საფრთხის შემცველად იდენტიფიცირებულია მდინარე ჭანჭახი და მისი სხვადასხვა შენაკადი.

ორგანიზაციის თქმით, ეს უნდა ყოფილიყო მონიტორინგის გაძლიერებისა და კურორტ შოვიდან მოქალაქეების დრიული ევაკუაციის გეგმის შემუშავების საფუძველი.

გარემოს ეროვნული სააგენტო ახლა ასკვნის, რომ „ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება 2023 წლის 3 აგვისტოს მდინარე ბუბისწყლის ხეობაში სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების თანხვედრამ გამოიწვია“.

„ქართული ოცნების“ ლიდერები წინა კვირაში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ოპოზიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია (ნაწილი), ასევე მოხალისეები, მომხდარზე ავრცელებენ ტყუილებს და ძაბავენ სიტუაციას.

აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე გასულ კვირაში ამბობდა, რომ ოპოზიცია სტიქიით ხეირის მიღებას ცდილობს:

– ხელისუფლებას ხან კომუნისტების დროს აგებული კოტეჯების მშენებლობის ნებართვის გაცემა დააბრალეს, ხან ვერტმფრენის თემით შეეცადნენ სიცრუის გავრცელებას. დეზინფორმაციების გამოყენებით რადიკალური ოპოზიცია სტიქიის შედეგებით სარგებლობის მიღებას ცდილობს. ხელისუფლებას უწევს, იბრძოლოს იმ დეზინფორმაციის წინააღმდეგ, რომელიც სოციალურ ქსელებში თუ ნაცმოძრაობის ტელევიზიებში გვაქვს.

საზოგადოება სახტად დატოვა უმრავლესობის წევრის, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის კომენტარმა ტრაგედიის თაობაზე.

– ვინც იქ უშუალოდ არ დაფარულა, ყველა გადარჩა. ძებნას 15 წუთში დავიწყებდით, თუ 1 საათში, ამას რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა? – იკითხა სარჯველაძემ.

❖ ❖ ❖

### დაპირისპირება რიკოთის მაგისტრალის გამო

„ლელოს“ ლიდერმა, მამუკა ხაზარაძემ, ამ მძიმე ფონზე, მოითხოვა რიკოთის უღელტეხილზე მიმდინარე მასშტაბური სამუშაოების საერთაშორისო აუდიტი, მონიტორინგზე ისაუბრეს მისმა სხვა პარტიელებმაც.

– სასწრაფოდ ჩატარდეს საერთაშორისო აუდიტი რიკოთის მშენებლობასთან დაკავშირებით. უნდა შემოწმდეს უსაფრთხოება, ეკოლოგიური ზემოქმედება, მეწყერსაშიში ზონები, მონიტორინგის სისტემა, ფინანსები. დასანქცირებულ ჩინურ კომპანიას რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ჩააბარებ და ევროპიდან მოზიდულ თანხმებს გადაუხდი, დანაშაულის ტოლფასია, – განაცხადა ხაზარაძემ.

„ლელოს“ კრიტიკას გამოეხმაურა საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი გიორგი წერეთელი, რომელმაც უარყო ბრალდება, რომ სამუშაოებს სანქცირებული კომპანია ასრულებს.

– ნეგატიური განცხადებები რიკოთის უღელტეხილზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოებასა და კორუფციასთან დაკავშირებით არის საზოგადოებაში შიშის დათესვის მცდელობა. უღელტეხილზე სამშენებლო სამუშაოები გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ რიკოთის ყველა დასრულებული მონაკვეთი იქნება უსაფრთხო, – აღნიშნა გზების დეპარტამენტის უფროსმა.

მისი ინფორმაციით, პროექტი 2019 წლიდან ხორციელდება. მის ფარგლებში შენდება 97 ხიდი და 51 გვირაბი.

საგზაო უწყების უფროსის განმარტებამ „ლელოს“ საკითხისადმი დამოკიდებულება ვერ შეაცვლევინა. პარტიის წარმომადგენლები განაგრძობდნენ საუბარს რიკოთზე არსებულ საფრთხეზე, უხარისხოდ მიმდინარე სამუშაოებსა და კორუფციაზე. ისინი ამბობენ, რომ საკითხზე შეკითხვებს პარლამენტიდანაც უგზავნიან შესაბამის სამსახურებს.



– ხელისუფლება გაიხლართა პროპაგანდაში, – აღნიშნა „ლელოს“ წევრმა თაზო დათუნაშვილმა.

რიკოთის მაგისტრალს ბრიფინგი მიუძღვნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ.

– თუ სამუშაო არ შესრულდა პროექტის მიხედვით, საბოლოოდ არ ჩაბარდება და გზაც არ გაიხსნება... ქართული რეგლამენტი, რომელიც სეისმიკასთან დაკავშირებით არის დამტკიცებული და მუშაობს, აბსოლუტურად დაცულია და გათვალისწინებულია სამუშაოების დროს... პირადად მე და ჩემი ოჯახი გადავაადგილდებით რიკოთის მაგისტრალზე. რიკოთი არის აბსოლუტურად უსაფრთხო... დასრულებული რიკოთი იქნება უსაფრთხო, კომფორტული და ბევრად მაღალი გამტარობის, – აღნიშნა მინისტრმა.

ამ სიტუაციას დაემთხვა პრემიერის ინტერვიუ, რომელიც მან ჩინეთის ცენტრალურ ტელევიზიას მისცა. ინტერვიუში ირაკლი ღარიბაშვილი ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის შეეხო რიკოთის (ჩქაროსნულ) მაგისტრალს და დადებითად შეაფასა ჩინური კომპანიების მუშაობა.

– საქართველოში მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვახორციელებთ, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჩქაროსნული მაგისტრალი და რკინიგზის მოდერნიზება. ახლა ვაპირებთ დავიწყოთ ანაკლიის დიდი საპორტო პროექტი, – აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ჩინური კომპანიები მუშაობენ და მთავრობა მათი მუშაობით კმაყოფილია.



### რუსეთის ჯარის შემოჭრის მე-15 წლისთავი

რუსეთის აგრესიის მე-15 წლისთავის საკითხზე გასულ კვირაში ბევრი განცხადება გაკეთდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა:

– რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს ევროკავშირის შუამავლობით დადებულ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, აფართოებს საკუთარ უკანონო კონტროლს ოკუპირებულ რეგიონებში და სხვადასხვა ქმედებით, მათ შორის, ხელოვნური ბარიერების აღმართვით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვით, უკანონო დაკავებებით დარტყმას აყენებს ადგილებზე არსებულ ისედაც რთულ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ გარემოს.

საგარეო უწყებამ მოუწოდა რუსეთის ფედერციას, შეასრულოს ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან.

ამ მოვლენებს გამოეხმაურნენ საქართველოს პარტნიორები. მათ შორის, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი.

– 15 წლის წინ რუსეთი შემოიჭრა საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოში და მისი ტერიტორიის 20% დაიკავა. შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, – აღნიშნა ბლინკენმა.

– რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი ძალები და შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მეთიუ მილერმა.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები იმეორებდნენ, რომ ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა.

მმართველი პარტიის წარმომადგენელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი ამ საკითხზე ნაცმოს (ყოფილი ხელისუფლების) აქტიურობას ასე გამოეხმაურა:

– ათეულობით ადამიანი მხოლოდ იმიტომ დაიღუპა (2008 წელს), ბოლო წუთამდე საქართველოს ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ რუსეთის ფედერაცია დაპირისპირებაში მონაწილეობას არ იღებდა. დღეს ეს ხალხი შეკრებილა და ისეთ საოცარ ბრალდებებს უყენებს ხელისუფლებას, რომ აუცილებელია მათ ყველაფერი გაახსენო. სტრასბურგის სასამართლოსთვის მტკიცებულებები გადამალეს, ხელი მოაწერეს იმას, რომ საქართველოს ბრალია ომის დაწყება. ამდენი ხალხის დაღუპვის პრევენცია შეიძლებოდა, თუმცა, მებრძოლები ბრძოლის ველზე მიატოვეს და აქ (თბილისში) პერფორმანსი გამართეს.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, თავის მხრივ, „ოცნების“ ხელისუფლებას წამოუყენა ბრალდება. მისი მტკიცებით, ეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ დასჯილიყვნენ ქართველი სამხედროები. მათ შორის, გენერლები ყურაშვილი, ჭანკოტაძე და სხვები და ამ მიზნით სტრასბურგში აქტიურობდა.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გაიხსენა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ დამტკიცებული რეზოლუცია საქართველო-რუსეთის ომის შესახებ. ამ რეზოლუციის ერთ პუნქტში საქართველოსთვის მეტისმეტად მტკივნეული ჩანაწერი არსებობს. კობახიძის თქმით, ნაცმოს ხელისუფლების ღალატი ამ რეზოლუციის მხარდაჭერაშიც გამოიხატა:

– ამ ღალატის კულმინაცია იყო ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელსაც ხელი მოაწერა ნაცმოძრაობამ, სადაც მითითებულია, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო.

კამათი იყო 2008 წლის ომის თარიღზე. ექსპერტმა საერთაშორისო საკითხებში ზურაბ ბატიაშვილმა აღნიშნა, რომ ომის თარიღად 8 აგვისტოს წამოწევა რუსული პროპაგანდის ნაწილია.

– 7 აგვისტოს შემოვიდა რუსეთის საოკუპაციო ჯარი და შესაბამისად, 7-ში გადაკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვარი. საერთაშორისო სამართლით, როდესაც გადალახავ ქვეყნის საზღვარს, მაშინ იწყება ომი.

რუსებს სჭირდებათ 8 აგვისტოს წინ წამოწევა, რათა საერთაშორისო არენაზე თქვან, რომ, როდესაც ქართული სამხედრო ნაწილები შევიდნენ იქ, მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა რუსეთის არმია. საერთაშორისო თანამეგობრობისათვის 7 აგვისტო ხაზგასმით არის ოკუპაციისა და ომის დაწყების თარიღი, – თქვა ზურაბ ბატიაშვილმა.

სამართალი

## მარნეულში სამგზავრო მიკროავტობუსის მართვისას მძღოლი გულის შეტევით დაიღუპა

მარნეული-სადახლის მიმართულებით, სამგზავრო მიკროავტობუსის მძღოლი გულის შეტევით გარდაიცვალა.

სოფელ ხოჯორნში მცხოვრებმა 60 წლის ნარიმან ხუდიევმა მართვის დროს კონტროლი დაკარგა და მანქანა ბოძს შეეჯახა.

გავრცელებული ინფორმაციით, მიკროავტობუსში მყოფ მგზავრებს მძიმე დაზიანებები არ აღენიშნებათ. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი და პოლიცია. გარდაცვლილის ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

## ტრაგედია რუსთავის ქიმიურ საწარმოში

რუსთავში ქიმიურ საწარმო შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიაში“ მუშა დაიღუპა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, საწარმოში მარგანეცის დასაგროვებელმა ბუნკერმა სიმძიმეს ვერ გაუძლო, ჩამოიშალა და მის ქვეშ მდგარი 50 წლამდე მამაკაცი მარგანეცის ქვეშ მოიყოლა.

მუშა ადგილზევე გარდაიცვალა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც ითვალისწინებს უსაფრთხოების წესის დარღვევას, სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. მას დაზიანება ფეხისა და ხელის არეში აქვს მიყენებული. არსებული ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სისხლიან ანგარიშსწორებას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

# ქუთაისში 15 წლის მოზარდი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა

ქუთაისში 15 წლის მოზარდი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. შემთხვევა ავტოქარხნის დასახლებაში წუხელ მოხდა.

15 წლის გოგო მრავლობითი დაზიანებით კლინიკაში გადაიყვანეს, ექიმებმა მას ოპერაცია ჩაუტარეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# რუსთავში კაცმა ყოფილი ცოლი დაჭრა

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, რუსთავში, კაცმა ყოფილი ცოლი დაჭრა. შემთხვევა ლეონიძის ქუჩაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მოხდა.




არსებული ინფორმაციით, 50 წლამდე კაცსა და 40 წლამდე ქალს შორის კამათი ეჭვიანობის ნიადაგზე დაიწყო, რასაც ჩხუბი მოჰყვა, რა დროსაც ყოფილმა ქმარმა ცივი იარაღით ქალს სხეულის სხვადასხვა ადგილზე მრავლობითი ჭრილობები მიაყენა.

ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები. დაჭრილი ქალი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად სამართალდამცავებმა ბრალდებული კაცი ადგილზე დააკავეს. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

# კვარიათში ზღვაში ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო

კვარიათში, ზღვაში ახალგაზრდა ბიჭი დაიხრჩო.

შემთხვევა გუშინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, 19 წლის ბიჭი ჩხოროწყუს სოფელ ლესიჭინედანაა. ის ზღვაზე დასასვენებლად იყო ჩასული. წყალში შესვლის შემდეგ, დიდი ტალღების გამო, მან უკან გამოსვლა ველარ მოახერხა.

ადგილზე იყვნენ მაშველები, თუმცა, მათ ახალგაზრდის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

# მასშტაბური თაღლითური სქემა, რომლის მსხვერპლიც ასზე მეტი ემიგრანტი გახდა

მასშტაბური თაღლითური სქემა, რომლის მსხვერპლიც ასზე მეტი ემიგრანტი გახდა. დაზარალებულები „მთავარ არხთან“ დეტალურად ყვებიან, როგორ მუშაობს თაღლითური ქსელი – ემიგრანტებს, ფულის სანაცვლოდ, ბინადრობის მოწმობას სთავაზობდნენ, თანხის მიღების შემდეგ კი უცხოეთში მცხოვრები ქართველები ქრებიან.

არსებული ინფორმაციით, ემიგრანტებისთვის თანხის გამოძალვის სქემაში ცოლ– ქმარი მონაწილეობს.

დაზარალებულთა ნაწილი ამბობს, რომ დაპირებული დოკუმენტების ნაცვლად, სიცოცხლის მოსპობის მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიღო.

„მთავარმა“ მოიპოვა ჩანაწერებიც, სადაც მუქარა ისმის. სავარაუდო თაღლითური სქემის ერთი-ერთ მთავარი ფიგურანტი დავით ჩიხლაძეა, რომელიც საქართველოდან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო გაქცეულ ემიგრანტებს ბინადრობის მოწმობის მიღების სანაცვლოდ 700-დან 1.500-ევრომდე თანხას სძალავდა. ის, აუდიოჩანაწერის თანახმად, ერთ-ერთ დაზარალებულს ემუქრება და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს.

დანაშაულებრივი სქემის სავარაუდო ორგანიზატორი ემიგრანტებს ჰპირდებოდა, რომ დოკუმენტს, რომლითაც საქართველოს მოქალაქეები ევროპის ქვეყნებში გადადგილებას უპრობლემოდ შეძლებდნენ, თანხის ჩარიცხვიდან 8 თვის ვადაში მიიღებდნენ.

„მთავარი“ დაუკავშირდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც, ემიგრანტების მტკიცებით, თაღლითურ სქემაში არიან ჩართულები. ჩვენთან



საუბარში ეს პირები ემიგრანტების ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ და ამბობენ, რომ მათ თანამოქალაქეების საბუთები შესაბამის უწყებაში შეაქვთ, გადაწყვეტილებას კი პოლონური მხარე იღებს.

# ვინ არის ქართველი ექიმი, რომელიც ახალშობილებით ვაჭრობის საქმეში ფიგურირებს

ქართველი ექიმი მაია ჩაკვეტაძე ერთ-ერთია, რომელიც საბერძნეთში დაწყებული გამოძიების მასალებში ფიგურირებს. კუნძულ კრეტაზე სუროგაციის ცენტრში ჩატარებული რეიდის დროს ის არ დაუკავებიათ, თუმცა, ბრალი ოფიციალურად წარედგინა. უკანონო სუროგაციისა და სავარაუდო ტრეფიკინგის საქმეზე სულ რვა პირია დაკავებული. მათ შორის, ქალაქ ხანიაში მდებარე კლინიკის დამფუძნებელი, ექიმები და შუამავლები.



მაია ჩაკვეტაძე, რომელსაც ბერძნული გამოძიება დანაშაულებრივი ქსელის ერთ-ერთ რგოლად ასახელებს, საქართველოში სუროგაციის ცენტრის დამფუძნებელია. თავად მაია ჩაკვეტაძის შესახებ კი ასეთ ჩანაწერს ვკითხულობთ:

– მაია ჩაკვეტაძე კომპანიის დამფუძნებელია, 2011 წლიდან ეწევა აღნიშნულ საქმიანობას და მისი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება სუროგაციისა და დონაციის სფეროში კომპანიის წარმატების გარანტია. ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს იმ უშვილო წყვილთა გაბედნიერება, რომლებსაც მკურნალობისა და უიმედობის წლები აქვთ გამოვლილი, კომპანიის მთავარ ფუნდამენტს ჩვენი გამოცდილება და წარმატების მაჩვენებელი წარმოადგენს, – აღნიშნულია ჩანაწერში.

ბერძენი სამართალდამცველების ინფორმაციით, უკანონო სუროგაცია და ქალებისთვის კვერცხუჯრედის ამოღება, დანაშაულებრივ ქსელს დიდ სარგებელს აძლევდა. სუროგაციის საშუალო ფასი 70-დან 100 ათას ევრომდე მერყეობდა, ზოგ შემთხვევაში კი 120 ათას ევროსაც აღწევდა.

საქმეში ფიგურირებს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე – ახალგაზრდა ქალი, რომელიც საბერძნეთიდან რამდენიმე ხნის წინ დაბრუნდა, სავარაუდოდ, თავადაც დონორი იყო, რის შემდეგაც ქსელმა ის შუამავლის პოზიციაზეც დაასაქმა.

ცნობილია, რომ საბერძნეთში სუროგაცია ლეგალურია მხოლოდ დაქორწინებული ჰეტეროსექსუალური წყვილებისთვის, თუმცა, ბერძნული გამოძიების ინფორმაციით, გახმაურებულ საქმეში იკვეთება ჩვილებით ვაჭრობის, ქალების ექსპლუატაციის, თაღლითობისა და დოკუმენტაციის გაყალბების კვალი.

# ბათუმის სასამართლომ რუსების კრუიზის წინააღმდეგ აქციაზე დაკავებულებს ჯარიმები შეუფარდა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 31 ივლისს, ბათუმში, ანტისაოკუპაციო აქციაზე დაკავებულების საქმეებზე გადაწყვეტილებები გუშინ გამოაცხადა.

მოსამართლე ალექსანდრე გოგუაძემ თითქმის ყველა დაკავებულს 2.000-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. მხოლოდ ერთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეწყდა, ბექა გრიგორიადისს კი ყველაზე დიდი, 3.500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

დაკავებულთა შორის უკრაინის ორი მოქალაქე იყო, მოსამართლის გადაწყვეტილებით, მათ წვრილმანი ხულიგნობა არ დაუდასტურდათ და პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო 2.000-2.000 ლარით



დაჯარიმდნენ.

დააჯარიმეს პარტია „დროას“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერი, გენრი დოლიძე და ჟურნალისტი თორნიკე კვერენჩხილაძეც. დოლიძე ამბობს, რომ პოლიციამ ვერცერთი ვიდეომტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რის საფუძველზე დააკავეს და მხოლოდ სამი ცრუმოწმის ჩვენებას დაეყრდნო.

ცნობისთვის, 31 ივლისს, ბათუმში რუსების კრუიზის საწინააღმდეგო აქციაზე 23 ადამიანი დააკავეს.



# დაიღუპა 19 წლის ბიჭი — ავარია რუსთავი-თბილისის ავტობანზე

რუსთავი-თბილისის ჩქაროსნულ მაგისტრალზე ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ფონიჭალის მონაკვეთზე ერთმანეთს „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი და სატვირთო შეეჯახა.

შეჯახების შემდეგ, მსუბუქი ავტომობილის მძღოლი, 19 წლის ბიჭი, ავტომობილიდან მაშველების დახმარებით ამოიყვანეს და სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა, მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მწერალთა სახლი: „ორგანიზაციის ახალი დირექტორი უნდა აირჩიოს დარგის პროფესიონალებისგან შემდგარმა კომისიამ“

მწერალთა სახლის მესვეურებმა, ძველი ხელმძღვანელის ნატა ლომოურის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და ახალი ხელმძღვანელის ქეთევან დუმბაძის დანიშვნასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადება გაავრცელეს:

– მწერალთა სახლის, როგორც კულტურულ-საზოგადოებრივი ინსტიტუციის ისტორია უკვე ათ წელზე მეტს ითვლის. ამ პერიოდში ეტაპობრივად გაიზარდა ჩვენი გუნდის შემადგენლობა, გაფართოვდა სამუშაო პროფილი, წარმატებით განხორციელდა არა ერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კულტურული და საგანმანათლებლო პროექტი. საპრეზენტაციო სივრცესთან ერთად, მაჩაბლის 13 ნომერში ბინა დაიდო მწერალთა რეზიდენციამ, დავით სარაჯიშვილისა და რეპრესირებული მწერლების მუზეუმებმა. ორგანიზაციის ზრდისა და განვითარების ყოველ ეტაპზე მწერალთა სახლის სათავეში იყო ნატა ლომოური, ვინც ეს სახლი უფუნქციო შენობიდან ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე და ღია კულტურულ ინსტიტუციად აქცია. ყველა პროექტი და წარმატება პირდაპირ არის მისი და მის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის ინიციატივებისა და დაუღალავი შრომის შედეგი.

ჩვენთვის სამწუხაროდ და ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, ნატა ლომოური დღეს აღარ იკავებს მწერალთა სახლის დირექტორის თანამდებობას. არადა, სწორედ მისი ხელმძღვანელობისას ორგანიზაციის საქმიანობა იყო მუდმივად მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული. ამას მოწმობს ჩვენი ბენეფიციარების – მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლების უდიდესი მხარდაჭერაც. ჩვენი საქმიანობის 10 წლის თავზე სასწორზე დევს მწერალთა სახლის არა ერთი ეროვნული და საერთაშორისო პროექტი.

მიგვაჩნია, რომ პირდაპირი დანიშვნის წესით ახალი დირექტორის მოსვლა ორგანიზაციაში საფრთხეს უქმნის ამ პროექტების თავისუფალ და უცენზურო მართვას. ჩვენ ვმუშაობთ მწერლებთან და მწერლებისთვის, ამიტომ ვუერთდებით 100-ზე მეტი მწერლის, მთარგმნელისა და გამომცემლის მოთხოვნას და მივიჩნევთ, რომ ორგანიზაციის ახალი დირექტორი უნდა აირჩიოს დარგის პროფესიონალებისგან შემდგარმა კომისიამ.

პ.ს. დაარსების დღიდან მწერალთა სახლის მთავარი ამოცანაა, შექმნას ღია სივრცე ქართული და მსოფლიო ლიტერატურული ტრადიციებისა და თანამედროვე შემოქმედებითი პროცესების წარმოსაჩენად. მწერალთა სახლი თანამედროვე, აქტიური პლატფორმაა ქართველი და უცხოელი მწერლებისა და ხელოვანებისთვის.



2013 წლიდან დღემდე მწერალთა სახლში გაიმართა 1657 ლიტერატურული ღონისძიება, 44 სახელოვნებო ფესტივალი, 80-მდე გამოფენა და 20-მდე საქველმოქმედო ღონისძიება.

მწერალთა სახლის საგანმანათლებლო მიმართულების ერთ-ერთი პრიორიტეტია მოზარდები და ახალგაზრდები. 2013 წლიდან დღემდე მწერალთა სახლის გუნდმა ჩაატარა 363 საბავშვო და საყმაწვილო საგანმანათლებლო-ლიტერატურული ღონისძიება, დააარსა საგანგებო პრემიები და თემატური კონკურსები ახალგაზრდებისთვის.

დღიდან დაარსებისა, მწერალთა სახლის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა სამუზეუმო საქმიანობა. დღეს, მაჩაბლის 13 ნომერში ორი მუზეუმია განთავსებული: დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი და რეპრესირებული მწერლების მუზეუმი. დავით სარაჯიშვილის მუზეუმი აერთიანებს 123 უნიკალურ ექსპონატს, რომელთა ნაწილიც, მწერალთა სახლის გუნდის მიერ იქნა მოძიებული და შესყიდული. 1 მარტს გახსნილ რეპრესირებული მწერლების მუზეუმს დღემდე 3.000-მდე დამთვალიერებელი ჰყავდა.

მწერალთა სახლის, როგორც საერთაშორისო ლიტერატურული ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია სარეზიდენციო პროგრამები მწერლებისთვის, რომლის ფარგლებშიც 2016-2023 წლებში თბილისის მწერალთა რეზიდენციამ უმასპინძლა 69 უცხოელსა და ქართველ მწერალს.

ქართული წიგნისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია წლების განმავლობაში წარმატებულად ხორციელდებოდა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ, რომლის სამართალმემკვიდრე დღეს მწერალთა სახლია. ანგარიშში მოცემული საერთაშორისო ღონისძიებებისა და აქტივობების დიდი ნაწილი სწორედ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ არის განხორციელებული. ამ შრომის შედეგი რიცხვებში ასეთია: 120 სხვადასხვა ავტორის, მთარგმნელისა და ილუსტრატორის მონაწილეობა 1.100 საერთაშორისო ღონისძიებაში და 44 ენაზე თარგმნილი 520 ქართული წიგნი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პუტინის გეგმები ჩაიშალა, მაგრამ მიაღწევს კი უკრაინა სრულ გამარჯვებას?!



კუპიანსკის მიმართულებით რუსი ოკუპანები შეტევებს აძლიერებენ. რუსებმა აქ 100.000-იანი არმიას მოუყარეს თავი. ოკუპანტები უშუალოდ კუპიანსკს უშენენ. სამიზნეშია ამოლებული სკოლები, საბავშვო ბაღები და ა.შ. უკრაინის მთავრობა იძულებული გახდა, დაეწყო ევაკუაცია კუპიანსკიდან.

კუპიანსკის მიმართულებით რუსი ოკუპანტების გააქტიურებამ აიძულა უკრაინული მხარე, გადაესროლა დამატებითი ძალები კუპიანსკთან. ქალაქის დაცვა გაძლიერებულია. ხორციელდება ღონისძიებანი მტრის აგრესიული მოქმედებებს გასანეიტრალებლად. ოკუპანტებმა წინ წაიწიეს. უკრაინელები ამას არ ეთანხმებიან და ამტკიცებენ, რომ რუსების შეჩერება მოხერხდა.

ოკუპანტების რიგებში დანაკარგები იზრდება. ტანკები – 4290; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 8.318; არტილერია – 5.043 (+15); თვითმფრინავები – 315. განადგრებულია 254.000 ოკუპანტი.

ამრიგად, პუტინის გეგმამ უკრაინაში წარმოებული ომის შესახებ სრული კრახი განიცადა. უკრაინის თავდაცვის მინსტრის მადგილის ანა მალიარის ცნობით, დანაკარგები ოკუპანტების რიგებში უკრაინელთა შეტევის დაწყებიდან დღემდე 10-ჯერ მეტია, ვიდრე უკრაინელების. უკვე ცხადია, რომ სრული კრახი განიცადა პუტინისეულმა გეგმებმა უკრაინის ე.წ. დენაციფიკაციის, დემილიტარიზაციის, ფედერალიზაციის ან სულაც დაშლის შესახებ. ამავე დროს საკითხავია, შეძლებს კი უკრაინა მტრის სრულ განადგურებას და ქვეყნის 1991 წლის საზღვრებში აღდგენას?

# პოლიციელმა გამოძიებაში დახმარების სანაცვლოდ სექსი მოითხოვა

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტაილანდში პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა სამრატ სუხტომ თითქოსდა გოგონას, რომელმაც დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართა, მისი საქმის გამოძიებაში დახმარების სანაცვლოდ მასთან სექსი შესთავაზა.

25 წლის გოგონამ გვარად დაომ 2022 წელს ჩონბურის პროვინციის პოლიციის განყოფილებაში თაღლითობის საქმეზე საჩივარი შეიტანა. მისი მტკიცებით, მას თაღლითობის გზით 100 ათასი ბატი გამოსძალეს. ერთი წლის განმავლობაში პოლიციის მიერ დაწყებულმა გამოძიებამ წინ ვერ წაიწია. ივლისში გოგონამ შეტყობინება მიიღო პოლიციის გადამდგარ პოლკოვნიკ სამრატ სუხტოსგან. ის მუშაობდა პოლიციის იმ განყოფილებაში, რომელშიც გოგონამ საჩივარი შეიტანა. საუბრის დროს თითქოსდა სუხტომ გამოძიების დაჩქარებაში ხელშეწყობის სანაცვლოდ 20 ათასი ბატი მოსთხოვა. ხოლო როდესაც დაოსგან უარი მიიღო, მაშინ დახმარების სანაცვლოდ მასთან სექსი შესთავაზა.

გაოგნებულმა გოგონამ მაშინვე საჩივარი დაწერა ყოფილი პოლიციელის წინააღმდეგ. გარკვეული დროის შემდეგ, სუხტომ განაცხადა, რომ მისი აკაუნტი გატეხეს, ხოლო გოგონას შეტყობინება მისი სახელით ვილაც სხვა ადამიანმა გაუგზავნა. ამ დრომდე უცნობია, კონკრეტულად ვინ სთხოვდა გოგონას დახმარების სანაცვლოდ ჯერ ფულს, შემდეგ კი სექსს. პოლიციის თანამშრომლებმა გამოძიება დაიწყეს და ინტერნეტ-მომხმარებლის ვინაობის დადგენას ცდილობენ.

# თეთრმა სახლმა, შესაძლოა, უკრაინისათვის დამატებითი დაფინანსება მოითხოვოს



თეთრმა სახლმა, შესაძლოა, უკაინისათვის დამატებითი ასიგნებანი მოითხროვოს. ამის შესახებ განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ:

– არავინ იცის ზუსტად, რამდენ ხანს გასტანს ომი უკრაინაში. აშშ-იც მუდამ კიევის გვერდით იქნება, – თქვა კირბიმ.

# სერბმა მაღაროელებმა უძველესი რომაული ხომალდი აღმოაჩინეს

სერბეთში მიწისქვეშა სამუშაოების დროს მაღაროელებმა უძველესი რომაული ხომალდი იპოვეს.



მაღაროელებმა უძველესი ხომალდის ფრაგმენტებს ივლისში მიაგნეს. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს არქეოლოგებს, რომლებიც თითქმის შეტყობინების მიღებისთანავე გათხრებს შეუდგნენ. ნესტმა და ქვიშამ 13-მეტრიანი გემი კარგად შემოინახა. გათხრების მიმდინარეობისას გამოშრობა წარმოადგენდა ყველაზე დიდ საფრთხეს ნაპოვნი ხომალდის კონსტრუქციისთვის. სწორედ ამიტომ მეცნიერების მთავარ საზრუნავს ნესტიანობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

ხომალდის ზუსტი ასაკი უცნობია. თუმცა, არქეოლოგი მიომირ კორაჩი ვარაუდობს, რომ ის დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3-4 საუკუნეებშია აგებული. იმ დროს იმ ადგილზე რომაული ქალაქი ვიმინაციუმი იდგა, დღევანდელი ბელგრადიდან დაახლოებით 70 კილომეტრში. აღნიშნული ქალაქი რომის პროვინცია ზემო მეზიას დედაქალაქი იყო, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 45 ათას ადამიანს შეადგენდა. სავარაუდოდ, აღნიშნული ხომალდი გადაადგილდებოდა შენაკადში, რომელიც ქალაქს მდინარე დუნაისთან აკავშირებდა.

# უკრაინის დაბომბვა გრძელდება

უკრაინაში ომი გრძელდება. ამჯერად მთავარი ბრძოლები გაიმართა ლიმან-2-ის გარშემო. როგორც ჩანს, რუსები ამ მიმართულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. პუტინის ბრძანებით, აქ დამატებითი რეზერვები გადაისროლეს. ამის შემდეგ ოკუპანტები შეეცადნენ შეტევაზე გადასულიყვნენ.

მტრის უპირატესობის მიუხედავად, უკრაინელებმა შეძლეს მათი შეჩერება. რუსული პროპაგანდისტული არხი „რაშა თუდეი" კვლავ სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. მან საზეიმოდ ამცნო თავის მსმენელებს, კუპიანსკი ავიღეთო.



ასევე ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ ლიმან 2-ის ან სვატოვო კრემენოეს მიმართულებით.

რაც შეეხება დონბასს, აქ ვითარება უცვლელია. ავდეევკასა და მარინკასთან უკრაინელებმა ყველა პოზიცია შეინარჩუნეს. განხორციელდა რამდენიმე დარტყმა დონეცკზე. რამდენიმე ჭურვი რუსული არმიის ყაზარმებს დაეცა. ოკუპანტებს შორის დიდი მსხვერპლია.

ოკუპანტები დიდ ზარალს განიცდიან გორლოვკასთან, უგლედართან და სხვა ქალაქებთან. რაც შეეხება ზაპოროჟიეს, აქ უკრაინელებმა დაიკავეს სოფელი რობოტინო და კიდევ რამოდენიმე დასახლებული პუნქტი. უკრაინული არმია ბერდიანსკს მიუახლოვდა.

უკრაინული არმია სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირზე. ცეცხლის ალში გაეხვია დროებით ოკუპირებული ყირიმის ქალაქები: ფეოდოსია, ჯანკოი, სიმფეროპოლი და ა.შ. აფეთქებათა სერია გაისმა ქერჩში, ყირიმის ხიდთან. თავად ხიდი კი კვამლში გაეხვა.

ფრონტებზე მარცხსა და დანაკარგებს რუსეთმა დაბომბვებით უპასუხა. ოკუპანტებმა ირანული წარმოშობის შახედები გამოიყენეს.

უკრაინელებმა ჩამოაგდეს ირანული დრონი ზაპოროჟიესთან. მარცხმა ოკუპანტები გააბოროტა. მათ დაბომბეს დასავლეთ უკრაინის ქალაქი ივანო ფრანკოვსკი. ამ დროს დაიღუპა ერთი რვა წლის ბავშვი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# პილოტმა თვითმფრინავი გზაზე ავარიულად დასვა და მგზავრები გადაარჩინა

დიდ ბრიტანეთში პილოტმა თვითმფრინავი ორზოლიან გზაზე ავარიულად დასვა, რომელზეც გაცხოველებული მოძრაობა იყო და მგზავრები გადაარჩინა.

პილოტმა მსუბუქძრავიანი თვითმფრინავი ა-40 გზის გამყოფ ზოლზე ისე დასვა, რომ არცერთი მოძრავი მანქანა არ დაზიანებულა. აღნიშნული შემთხვევა გლოსტერშირის საგრაფოში ქალაქების გლოსტერისა და ჩელტნემის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა. თვითმფრინავის გზაზე დასმის შემდეგ მისი სალონი მგზავრებმა დატოვეს და უსაფრთხო ადგილზე გადავიდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. მოგვიანებით საავარიო სამსახურმა თვითმფრინავის ევაკუირება განახორციელა.



ამ დროისთვის დაზიანებული გზის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. საავიაციო შემთხვევების საგამოძიებო განყოფილება შემთხვევის გამომწვევი გარემოებების გარკვევას შეუდგა. გლოსტერშირის აეროპორტის დირექტორის თქმით, გზაზე ავარიული დაშვების მიზეზი, სავარაუდოდ, ძრავის გაუმართაობა გახდა. პილოტმა კი თავისი გამოვლენილი პროფესიონალიზმისთვის შექება დაიმსახურა.

# სიძემ პატარძალს პირდაპირ ქორწილის დროს უღალატა

ქალმა თავისი ქორწილის ფოტოგრაფს მისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება საზეიმო ცერემონიის დროს მომხდარი არასასიამოვნო ინციდენტის გამო მოსთხოვა.

ფოტოგრაფის თქმით, საქორწინო გადაღების შემდეგ მან გადაღებული მასალა დაამუშავა და ახლადშეუღლებულებს გადაუგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთა ზუსტად იყო შესრულებული, პატარძალი მაინც უკმაყოფილო დარჩა. აღმოჩნდა, რომ სიძემ მას ფოტოგრაფის თანაშემწე გოგონასთან უღალატა და ეს პირდაპირ საქორწინო ცერემონიის დროს მოხდა.

ფოტოგრაფის თქმით, ის მომხდარის გამო საკუთარ პასუხისმგებლობას სრულად გრძნობს, თუმცა, ამავე დროს მზად არ არის ფულის დასაბრუნებლად, ვინაიდან გოგონა, რომელიც ქორწილში მისი ასისტენტის მოვალეობას ასრულებდა, მისი მუდმივი თანამშრომელი არ იყო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# შედეგები

12 აგვისტო
ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ნოტინგემი | 2:1 |
| ბორნმუთი-ვესტ ჰემი | 1:1 |
| ბრაიტონი-ლუთონი | 4:1 |
| შეფილდი-კრ.პალასი | 0:1 |
| ევერტონი-ფულემი | 0:1 |
| ნიუკასლი-ასტონ ვილა | 5:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-მიდლსბრო | 3:0 |
| ბირმინგემი-ლიდსი | 1:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-სუონსი | 3:2 |
| იფსვიჩი-სტოკი | 2:0 |
| კარდიფი-ქპრ | 1:2 |
| მილუოლი-ბრისტოლი | 0:1 |
| პრესტონი-სანდერლენდი | 2:1 |
| როტერჰემი-ბლექბერნი | 2:2 |
| საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 4:4 |
| უოტფორდი-პლიმუთი | 0:0 |
| ჰადერსფილდი-ლესტერი | 0:1 |
| ჰალი-უენსდი | 4:2 |

**გერმანია. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ლაიფციგი-ბაიერნი | 3:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სოსიედადი-ხირონა | 1:1 |
| ლას პალმასი-მალიორკა | 1:1 |
| ბილბაო-რეალი | 0:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რასინგი-ეიბარი | 4:0 |
| სარაგოსა-ვილიარეალი ბ | 2:0 |
| ელჩე-ფეროლი | 0:1 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| | |
|---|---|
| მარსელი-რეიმსი | 2:1 |
| პსჟ-ლორიანი | 0:0 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

| | |
|---|---|
| როდეზი-სტ.ეტიენი | 2:1 |
| ანჟე-ანსი | 0:0 |
| გენგამი-დიუნკერკი | 0:1 |
| გრენობლი-პარიზი | 2:0 |
| კაენი-პო | 2:0 |
| კევიი-აიაჩო | 0:1 |
| ოსერი-ამიენი | 0:1 |
| ბასტია-ვალანსიენი | 3:0 |
| ტრუა-ლავალი | 3:1 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჟილ ვისენტე-პორტიმონენშე | 5:0 |

| | |
|---|---|
| ფარენშე-კასა პია | 0:3 |
| სპორტინგი-ვიზელა | 3:2 |

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

| | |
|---|---|
| პსვ-უტრეხტი | 2:0 |
| ჰერენვენი-ვალვაიკი | 3:1 |
| აიაქსი-ერაკლესი | 4:1 |
| ზვოლე-სპარტა | 1:2 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მოლენბეკი-მეხელენი | 1:0 |
| სენ ჟილუა-ლეუვენი | 5:1 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლფსბერგერი-ლუშტენაუ | 1:1 |
| შტურმი-კლაგენფურტი | 0:0 |
| ლინცერი-ლინცი | 2:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ლივინგსტონი | 4:0 |
| როსი-სტ.ჯონსონი | 2:0 |
| სტ.მირენი-დანდი | 2:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ქაშომფაშა-ანკარაგიუჯიუ | 3:2 |
| ქონია-ისთანბული | 1:1 |
| ქაისერი-გალათასარაი | 0:0 |
| პენდიკი-ჰატაი | 1:5 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ვინთენთური-გრასჰოპერსი | 3:1 |
| უში-ციურიხი | 0:3 |
| სერვეტი-სტ.გალენი | 1:1 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბანიკი-ჰრადეც კრალოვე | 2:0 |
| ზლინი-ლიბერეცი | 1:1 |
| იაბლონეცი-სპარტა | 1:5 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| სტალი-სლასკი | 3:1 |
| კორონა-გურნიკი | 0:1 |
| ვიძევი-ლოძი | 1:0 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ობოლონი | 2:0 |
| კოლოსი-ვერესი | 2:0 |
| ჟიტომირი-რუხი | 0:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| აიკი-ბრომაპოიკარნა | 2:2 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| სანდერფიორდი-მიოლდე | 2:2 |
| სარპსბორგი-სტრომგოდსეტი | 1:2 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## განცხადებები

• ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საქართველომ იორდანია მარტივად დაამარცხა

**საქართველო-იორდანია 86:69**
(27:19; 21:16; 23:16; 15:18)

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა თბილისის თასი 2023 დამაჯერებლად დაიწყო. ილიას ზუროსის გუნდმა 17-ქულიანი სხვაობით დაამარცხა იორდანიის ნაკრები და ფინალშია, სადაც მონტენეგროს შეხვდება, რომელმაც ირანს ასევე დამაჯერებლად მოუგო.

საერთოდ, ტურნირში მონაწილე ოთხივე გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა. ყველა მათგანისთვის ამ მატჩებს მოსამზადებელი მნიშვნელობა აქვს. მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სწორად აღნიშნა, რომ იორდანიასთან მოგებული მატჩი იმედისმომცემი იყო, რომელმაც გამოაჩინა ჩვენი გუნდის პოტენციალი. ზუროსმა ისიც განაცხადა, რომ დაცვაზე კიდევ უფრო მეტია სამუშაო.

კიდევ ორი ნიუანსი, რითიც ჩვენი გუნდის თამაში წინა საკონტროლო მატჩებისგან განსხვავდებოდა – სისწრაფე და სამქულიანები. 30 წუთში მასპინძლებს 8 სამქულიანი ჰქონდათ ჩაგდებული (19-დან). ამასთან, ამ კომპონენტში ტანმაღალი კალათბურთელებიც გამოირჩეოდნენ – სანდრო მამუკელაშვილმა 6-დან 4 სამქულიანი ჩააგდო.

რაც შეეხება სისწრაფეს: ჩვენს კალათბურთელებს ბურთი მეტოქის ნახევარზე დინჯად აღარ გადაჰქონდათ. მაღალ ტემპში ცდილობდნენ შეტევას, რაშიც ფორვარდ-გამთამაშებელი თორნიკე შენგელია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. როდესაც გუნდი მაღალ ტემპში თამაშობს, მეტოქეს დაცვაში დალაგება უჭირს, ქართველებმა სწრაფი გარღვევებითაც არაერთი ქულა მოიპოვეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბურთი ეფექტურად პერიმეტრზეც არაერთხელ დაატრიალეს, რაც აქამდე ჩვენი კალათბურთელების შესრულებით ხშირად არ გვინახავს.

ზუროსმა მოედანზე განსხვავებული ხუთეული დააყენა: გიორგი ცინცაძის ნაცვლად ანდრონიკაშვილი დადგა, ხოლო მამუკელაშვილი დუდა სანაძემ ჩაანაცვლა. მათ გარდა პარკეტზე იყვნენ თად მაკფადენი, თორნიკე შენგელია და გიორგი შერმადინი. გუნდმა თავიდანვე კარგად დაიწყო და უხვქულიანი პირველი მეოთხედი 8-ქულიანი სხვაობით მოიგო. ამ 10 წუთში საუკეთესო შენგელია იყო 8 ქულით.

მეორე მეოთხედიც იმავე სტილში გაგრძელდა, ახლა მთავარი მექულე მამუკელაშვილი გახდა. საქართველოს ნაკრების უპირატესობამ კი 13 ქულას მიაღწია. დიდ შესვენებამდე შენგელიას ანგარიშზე 10 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი იყო, მამუკელაშვილმა კი 13 ქულა მიითვალა.

საქართველოს ნაკრებს ტემპი არც ანტრაქტის შემდეგ დაუგდია. იყო რამდენიმე კარგი და ეფექტური ეპიზოდი და დასკვნით 10-წუთეულს ზუროსის გუნდი 20-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდა.

ბოლო მეოთხედში საქართველოს ნაკრებმა შეტევების ინტენსივობას მოუკლო, რისი წყალობითაც ეს მეოთხედი იორდანიამ 3 ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ ამ ყველაფერს საბოლოო შედეგზე გავლენა არ ჰქონია – 86:69.

მამუკელაშვილის ანგარიშზე 19 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასია; შენგელიამ ორმაგი დუბლი შეასრულა – 16 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი; გოგა ბითაძემ 13 ქულა ჩააგდო; იორდანიელთა შორის 16 ქულა ჩააგდო ალ დვაირიმ, 14 ფედიმ, ხოლო 10 ჰოლის-ჯეფერსონმა.



იორდანიასთან გამარჯვებით ჩვენმა მოთამაშეებმაც გაიხარეს და გულშემატკივარსაც ბევრი დადებითი ემოცია მიანიჭეს. თუმცა, ასეთი ლაღი თამაში, შესაძლოა, მეტოქის ძალის გათვალისწინებით ვიხილეთ. საინტერესოა, როგორ იმუშავებს მწვრთნელის ტაქტიკა გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან. ამის სანახავად მოცდა დიდი ხნით არ მოგვიწევს – თბილისის თასის ფინალში საქართველო მონტენეგროს დაუპირისპირდება, რომელმაც ირანი 81:66 დაამარცხა. მონტენეგროელებმა მეტოქეს პირველი ტაიმი იოლად მოუგეს, მეორეში კი აზიელებმა ჩამორჩენა შეამცირეს და 15 ქულით წააგეს.

მე-3 ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ირანი და იორდანია დაუპირისპირდებიან.

**ილიას ზუროსი:**

– გუნდურად კარგად ვითამაშეთ, ბურთსაც ვატრიალებდით, დაცვაშიც კარგად გამოვიყურებოდით.

გახარებული ვარ გოგა ბითაძის დაბრუნებით. გვინდა, ყველა კალათბურთელი ჩვენთან იყოს, რომ დანიშნულების წერტილამდე შეთამაშებულები მივიდეთ.

ასე თუ განვაგრძობთ, კარგი შედეგი მოგვენება. ამისთვის თავგანწირვაა საჭირო. მივდივართ მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ არ ვიცით, რას უნდა ველოდოთ იქ. ამიტომ, მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც იორდანიასთან შეხვედრისას მოვიდნენ. იმედი მაქვს, დარბაზი მონტენეგროსთან გაივსება.

მინდა, დავამატო ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი – 24 პასი გვქონდა, რამაც ძალიან გამახარა. მიყვარს ახალგაზრდა კალათბურთელები, ყოველთვის ვაძლევ მათ შანსს. ჩვენი ახალგაზრდებისთვის რთული შეხვედრა იყო, პირველ მატჩს ატარებდნენ ნაკრების მაისურით ქართველი გულშემატკივრის წინაშე.

დიდ ყურადღებას ვაქცევ ახალგაზრდულ ნაკრებებს და მიხარია, რომ 16-წლამდელთა გუნდმა B დივიზიონში მიაღწია მაღალ შედეგს, გავიდა ნახევარფინალში.

**თორნიკე შენგელია:**

– ამ მატჩში ბევრი პოზიტივი დავინახეთ. მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისიდან დღემდე პროგრესი ნამდვილად ჩანს. დაცვაშიც და შეტევაშიც იყო ბევრი კარგი ნიუანსი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატამდე კიდევ უნდა გავაუმჯობესოთ. ყველაზე მთავარი, რაც იორდანიასთან მატჩში დავინახეთ, გუნდურობაა.

შეგახსენებთ, რომ მონტენეგროსთან მატჩის შემდეგ, საქართველოს ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ეგიდით, კიდევ ერთ შეხვედრას გამართავს და ირანის ნაკრებს დახურულ მატჩში დაუპირისპირდება. გუნდი 17 აგვისტოს იაპონიაში გაემგზავრება, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო რეპეტიციას ავსტრალიასთან (22 აგვისტო) გაივლის.

# ამაშუკელმა ინგლისი–უელსის მატჩი იმსაჯა

მაშინ, როდესაც საქართველო-რუმინეთის მატჩს ცნობილი ინგლისელი მსაჯი, უეინ ბარნსი უძღვებოდა, ინგლისისა და უელსის დაპირისპირებას საუკეთესო ქართველი არბიტრი ნიკა ამაშუკელი ემსახურებოდა.

მატჩი ინგლისელებმა 19:17 მოიგეს, ხოლო თამაში ზედმეტად ბრიტანულიც კი გამოდგა, რასაც არც უხეშობა აკლდა. გულშემატკივარმა 5 ყვითელი და 1 წითელი ბარათი იხილა.

ინგლისელთა კაპიტან ოუენ ფარელს თავდაპირველად მიცემული ყვითელი ბარათი, მალევე წითლით გადაუკვალიფიცირეს და ახლა სასჯელის მოლოდინშია.

ამაშუკელი, რომელიც მსოფლიო თასზეა მიწვეული, თამამი გადაწყვეტილებების მიღებას არ უშინდება, არც წნეხის ქვეშ ექცევა. ამაშუკელის გადაწყვეტილებებს, სოციალურ ქსელებში დიდი განხილვა მოჰყვა და მის ქებას თვით ინგლისელებიც არ მოერიდნენ.

აი, რას წერს ბრიტანული მედია:

– ამაშუკელი დღეს მოედანზე ერთადერთი იყო, რომელმაც დატოვა შთაბეჭდილება, რომ მსოფლიო თასის ჯგუფურ ეტაპს წარმატებით გადალახავს. გულწრფელად რომ ვთქვათ, მან დაკისრებულ მოვალეობას იდეალურად გაართვა თავი.

# ბორჯღალოსნებმა რუმინეთი გაანადგურეს

**საქართველო-რუმინეთი 56:6**

საქართველო რაგბის მსოფლიო თასისთვისაც ემზადება და „ბორჯღალოსნებმა“ ზაფხულის ტესტების პირველი მატჩი რუმინეთთან გამართეს. ლევან მაისაშვილის გუნდმა მეტოქეს მარტივად აჯობა – 56:6.

აჯობა ცოტა რბილადაც არის ნათქვამი, რადგან ჩვენი ბიჭები რუმინელებს ყველაფერში აღემატებოდნენ.

არადა, თავიდან რუმინეთი დაწინაურდა – ვლახებმა ჯარიმა გაგვიტანეს. ამის შემდეგ, ძალიან მცირე მონაკვეთებს თუ არ ჩავთვლით, „ბორჯღალოსნებმა“ ქომაგი სტადიონიდან გაწბილებული არ გაუშვა და მაგარი თამაშით ასიამოვნა.

მე-4 წუთზე გელა აფრასიძემ ბურთს ფეხი მიარტყა, თავადვე მიჰყვა, რის შემდეგაც ლელოს დადება არ გასჭირვებია. ლუკა მატკავამ გარდასახა, რომელმაც კიდევ ორი ჯარიმა მიაყოლა, ერთიც რუმინელებმა გაგვიტანეს და საქართველო 13:6 დაწინაურდა.

შემდეგ უკვე ლელოების დრო დადგა: ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მერაბ შარიქაძემ ლელო დადო, რომელიც მატკავამ გარდასახა, ხოლო ტაიმის გაწითლებულ დროში ლელო გიორგი ჭყოიძემ მიითვალა და 25:6.



საოცარი იყო მეორე ტაიმის 10 წუთი, რა დროშიც საქართველოს ნაკრებმა სამი ლელო მიითვალა: მიხეილ გაჩეჩილაძე, აკა ტაბუცაძე და ლუკა მატკავა. მატკავამ მხოლოდ საკუთარი ვერ გარდასახა – 32:6.

ტაბუცაძემ კი, ნაკრებში 28-ე ლელო გაიტანა, რითიც მამუკა გორგოძის რეკორდი გააუმჯობესა და ბორჯღალოსნების ისტორიაში საუკეთესო მელელოვე გახდა.

საქართველოს ნაკრების აქტიურობის შედეგად რუმინელთა თამაში, ფაქტობრივად, მოიშალა, „ბორჯღალოსნებს“ კი, საპირისპიროდ, ყველაფერი გამოსდიოდათ. დარჩენილ დროში ქართველმა მორაგბეებმა კიდევ ორი ლელო გაიტანეს – შალვა მამუკაშვილმა და ვასილ ლობჟანიძემ და, საბოლოოდ, დამსახურებულად მოიგეს – 56:6.

**საქართველო ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:** მოდებაძე, ტაბუცაძე, თაფლაძე, შარიქაძე (კვესელაძე 60), ლაშხი (ხმალაძე 60), მატკავა, აფრასიძე (ლობჟანიძე 58); ნარიაშვილი (აბულაძე 50), ჭყოიძე (მამუკაშვილი 56), ჯაფარიძე (პაპიძე 50), ჭეიშვილი, ჩაჩანიძე (ჯაიანი 60), გიორგაძე (ცუცქირიძე 65), გაჩეჩილაძე, ივანიშვილი.

მსოფლიო თასის დაწყებამდე საქართველოს ნაკრები კიდევ ორ ტესტმატჩს ჩაატარებს – 19 აგვისტოს „მიხეილ მესხზე“ აშშ-ის ნაკრებს უმასპინძლებს, ხოლო 26 აგვისტოს სტუმრად შოტლანდიას ეთამაშება.

შეგახსენებთ, რაგბის მსოფლიო თასი 8 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით საფრანგეთში გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები C ჯგუფში უელსი, ავსტრალია, ფიჯი და პორტუგალია იქნებიან.

# მარადიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო



მოსკოვის ლოკომოტივის ნახევარმცველმა კონსტანტინე მარადიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.

თუმცა, საქართველოს ნაკრებში თამაშამდე ფორმალური საკითხებია მოსაგვარებელი. საქმე ის არის, რომ მარადიშვილს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში აქვს ნათამაშები და, შესაბამისად, ფიფას თანხმობა სჭირდება, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდში ითამაშოს.

გეტყვით, რომ გუშინ მარადიშვილმა რუსეთის პრემიერლიგის მატჩი ითამაშა. ლოკომოტივი-კრილიას სოვეტოვის (1:1) შეხვედრაში მოედანზე შეცვლაზე შევიდა და ბოლო წუთზე გაიტანა, რითიც გუნდს ქულა მოუტანა.

ბოლო შვიდ წელიწადში ქართული პასპორტი მიიღეს: ვაკო გვილიამ, ბექა ვაჩიბერაძემ, გია გრიგალავამ, საბა საზონოვმა, გიორგი წიტაიშვილმა, გიორგი გონსალვეშ-ჩუბინიძემ, ჰალიდ დოლტმურზიევმა, გიორგი ქარსელაძემ და კონსტანტინე მარადიშვილმა.

# 19 წლამდე ნაკრებმა მაკედონია დიდი ანგარიშით დაამარცხა

საქართველოს 19 წლამდე ნაკრებმა, სკოპიეში, მასპინძელი ჩრდილოეთ მაკედონიელი თანატოლები დიდი ანგარიშით დაამარცხა – 6:2.

უხვგოლიან მატჩში ანგარიში, ნიკოლოზ ყველაშვილის პასის შემდეგ, სანდრო ავალიანმა გახსნა. ამ ეპიზოდიდან მალევე, იმავე ავალიანმა, ხოლო შემდეგ ნიკოლოზ ნინიძემ მეკარის უხეში შეცდომებით ისარგებლეს და სხვაობა სამამდე გაზარდეს.

მასპინძლებმა სხვაობის შემცირება 31-ე წუთზე შეძლეს, როდესაც ანეს მელიქი კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს საჯარიმოში ზუსტად დახვდა და თავური დარტყმით შეძლო გოლის გატანა.

მეორე ნახევარში გუნდებმა გატანილი პენალტები გაცვალეს. თავი ლექსო ფეიქრიშვილმა და ნიკოლა ველიჩოვსკიმ გამოიჩინეს. მატჩის მიწურულს კი, გოლის გატანა გიორგი გოგსაძემ და დანიელ ქვარცხავამ შეძლეს – 2:6.

ვასილ მაისურაძის გუნდი, ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ მეორე ტესტმატჩს ისევ სკოპიეში, პეტარ მილოშევსკის სახელობის მოედანზე გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სოფლის ორლობე; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე; 5. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 6. არგენტინის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 7. რძის შაქარი; 10. თანდაყოლილი, ფერადი გამონაზარდი კანზე; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 12. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 13. პოლიციელთა მეტსახელი ბრიტანეთში; 16. ნიადაგის შიდა ნოყიერი ფენა; 18. მელვინეობის სპეციალისტი; 19. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 21. ბალჩეული ხილი; 24. მდინარე ლონდონში.

**თარაზულად:** 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალი; 8. პუჩინის ოპერა; 9. გერმანელი მიკრობიოლოგი, ბაქტერიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის ფუძემდებელი; 14. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 15. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 20. ანსამბლ „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 22. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 23. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 25. თევზის ძვალი; 26. მწვერვალი კავკასიონზე; 27. ქართული გაზეთი; 28. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გრახტი; 2. გომი; 3. ალგოლოგია; 4. დუნაი; 5. მაშტოცი; 8. კულუხი; 9. თითლიბაზი; 12. შულერი; 14. აქსისი; 16. იუანი.

**თარაზულად:** 1. განდეგილი; 6. კლაუზულა; 7. ატაკამა; 9. თაგორი; 10. პინო; 11. ბურნუთი; 13. ტრასი; 15. კუმისი; 17. სანტოსი; 18. ვენერა; 19. ემისია; 20. მირიანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფოკა; 2. ობი; 3. ქობულეთი; 4. ბუ; 5. ვატერლოო; 6. ყუმი; 7. ცანგალა; 10. ლორი; 11. ფრენბურთი; 12. კემპინგი; 13. კები; 16. ატელიე; 18. რენუარი; 19. ხაიამი; 21. ხორგო; 24. ვეკუა.

**თარაზულად:** 1. ფიდელიო; 3. ქაბაბი; 8. ჩაქურა; 9. კოლო; 14. ბროსე; 15. ფერარი; 17. მეფე; 20. თაბახი; 22. ოდესა; 25. უთო; 26. ლაპი; 27. დუმა; 28. კართაგენი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

14 აგვისტო

აშშ დოლარი — 2.6211

ევრო — 2.8816

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3314

100 რუსული რუბლი — 2.6654

## ამინდის პროგნოზი 14 აგვისტოსათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

# მბაპემ პსჟ-სთან ერთად ვარჯიში განაახლა



პსჟ-მ, საფრანგეთის პირველი ტურის შეხვედრაში, საკუთარ მოედანზე ლორიანი მიიღო და მათი დამარცხება ვერ შეძლო. მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა.

კილიან მბაპე შეხვედრას ტრიბუნიდან უცქერდა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას მისცეს გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება.

მბაპე ზაფხულში პსჟ-ს დატოვებას აპირებდა, მაგრამ შესაძლოა მან გადაიფიქროს და გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

# კეინს ბაიერნში ცუდი დებიუტი გამოუვიდა



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდს ჰარი კეინს გუნდში ცუდი დებიუტი გამოუვიდა და მისი გუნდი სუპერთასის ფინალში დამარცხდა ლეიპციგთან 0:3. კეინი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და გუნდის დახმარება ვერ შეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის ბაიერნი უკვე 2 ბურთით აგებდა. კეინმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ ის აუცილებლად მოიგებს ტიტულებს ბაიერნთან ერთად.

# ნეიმარი ბარსელონაში არ გადავა



ბარსელონას ნეიმარის ტრანსფერი აღარ გამოუვა, რადგან ბრაზილიელს სარფიანი წინადადება აქვს საუდის არაბეთიდან, სადაც მას ძალიან ბევრ ფულს სთავაზობენ. ბარსელონაში ნეიმარის დაბრუნება ხავის არ სურს, რადგან ის თვლის, რომ ბრაზილიელი გუნდში მდგომარეობას აურევს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეიმარი პსჟ-ს უახლოეს დღეებში დატოვებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# „ოსკარზე“ ქართული ფილმის წარსადგენად კონკურსი დაიწყო

საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა „ოსკარის“ საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის დაიწყო.




საპროდიუსერო კომპანიების განაცხადებს ეროვნული კინოცენტრი 1-18 სექტემბრის ჩათვლით მიიღებს. წარმოდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატ ფილმს გამოავლენს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კანდიდატი ფილმის სახელი ცნობილი გახდება 2023 წლის სექტემბრის თვეში.

განაცხადის დასარეგისტრირებლად ფილმი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს: გასული წლის 1 დეკემბრიდან ამა წლის 31 ოქტომბრამდე 7 დღის განმავლობაში უწყვეტად უნდა იყოს ნაჩვენები საქართველოს რომელიმე კინოთეატრში; უნდა ჰქონდეს კინოინდუსტრიაში მიღებული ფორმის რეკლამა – აფიშა, თრეილერი; შემოქმედებით ჯგუფს მეტწილად უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში მცხოვრები პირები. ასევე, საჭიროა განაცხადი ფილმის მწარმოებლისგან, რომლითაც დასტურდება, რომ ფილმი აკმაყოფილებს ან დააკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს და რომ მწარმოებელს აქვს უფლება და სურვილი, წარმოადგინოს ფილმი განსახილველად; ფილმის 1 ასლი ინგლისური სუბტიტრებით და 1 ასლი დივიდი ფორმატში. წარმოდგენილი ფილმის ვერსია უნდა შეესაბამებოდეს კინოთეატრში კომერციულად ნაჩვენებ ვარიანტს; ფილმის გაშუქების მასალები ელექტრონულსა და ბეჭდურ მედიაში – სტატია, რეცენზია, ბლოგი – ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გთხოვთ, გაითვალისწინოთ: იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ჯერ არ აკმაყოფილებს კინოთეატრში 7-დღიანი უწყვეტი კომერციული ჩვენების მოთხოვნას, აუცილებელია განმცხადებელმა დაადასტუროს, რომ 31 ოქტომბრამდე ფილმი 7 დღის განმავლობაში უწყვეტად იქნება ნაჩვენები კომერციულ ეკრანზე – კინოთეატრში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– საჭმლის გარეშე შეიძლება ერთი თვე გაატარო.

– შეიძლება, მაგრამ აზრი?

– უაზროდ შეგიძლია მთელი ცხოვრება გაატარო...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენი ქმარი სამსახურში დადის?

– კი, დადის.

– სწორია, არც მე ვაძლევ ჩემს ქმარს ტრანსპორტის ფულს!

•••

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, თქვენ მიერ დამზადებულ წამლებს, მე რომ გამომიწერეთ, სარგებლობა მოაქვთ?

– როგორ არა, ქალიშვილს ბინა ვუყიდე, ბიჭს კი სახლს ვუშენებ...

•••

ქალი ნაცნობ მამაკაცს ეკითხება:

– მითხარით, რა გაიძულებთ, ყოველდღე დალევას?

– არაფერი, მოხალისე ვარ!

•••

აფთიაქარს რაიონიდან ჩამოსული ეუბნება:

– ბალანიზა ვიტამინები მინდა.

– რომელი, ბატონო?

– მრგვალი როა.

– გასაგებია, მაგრამ რომელი ა, ბე თუ ცე?

– მაი სულ ერთია, პატარაა, კითხვა არ იცის ჯერ.

•••

კაცი მღვდელთან მივა და ეუბნება:

– მამაო, ზეთი მაცხე.

– შვილო ჩემო, ეკლესიაში დადიხარ?

– არა, მამაო, ვერ დავდივარ.

– კარგი, შვილო ჩემო, თუ ლოცულობ?

– არა, მამაო, ვერ ვლოცულობ.

– აბა, ზეთის ცხება რად გინდა, ჭრაჭუნობ?

•••

შვილი ჭიაყელა მამას ეკითხება:

– მამი, ბალში ცხოვრება კარგია?

– კი, შვილო.

– ვაშლში?

– ვაშლშიც კარგია.

– და ატამში?

– ჰო, იქაც კარგია ცხოვრება.

– იქ თუ კარგია ცხოვრება, მაშინ ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?

– ეეჰ, შვილო, სამშობლოს არ ირჩევენ!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ქეთევან დუმბაძეს მწერალთა, მთარგმნელთა და გამომცემელთა ნაწილი დაუპირისპირდა



მწერალთა სახლის ახალ დირექტორს ქეთევან დუმბაძეს მწერალთა, მთარგმნელთა და გამომცემელთა ნაწილი დაუპირისპირდა და მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა გააპროტესტა:

– ჩვენ არ ვიღებთ ახალ დირექტორს, რომელმაც ქართული საზოგადოების წინააღმდეგ ხმა მისცა „რუსულ კანონს“. არ ვაღიარებთ საბჭოთა მეთოდებით ლიტერატურულ ცხოვრებასა და პროცესებში ჩარევას. მოვითხოვთ, შეიქმნას მწერლების მიერ გამოყოფილ სამუშაო ჯგუფთან ერთად კომისია, რომელიც შეარჩევს მწერალთა სახლის დირექტორის კანდიდატს და შეიმუშავებს ახალ მართვა-გამგეობის დოკუმენტს, რომ მომავალშიც ავიცილოთ ერთპიროვნული და პარტიული გადაწყვეტილებებით მწერალთა სახლის მუშაობაში ჩარევა.

როდესაც კულტურის მინისტრს არ შეუძლია ელაპარაკოს ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებს, არ აქვს სურვილი მივიდეს მწერალთა სახლში, დააფასოს და აღიაროს მისი თანამშრომლების მიერ ათი წლის განმავლობაში გაწეული უზარმაზარი შრომა, ის კარგავს ლეგიტიმაციას.

მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, პარტიული კუთვნილების ნიშნით შეარჩიოს და ერთპიროვნულად დახურულ კარს მიღმა დანიშნოს ისეთი ინსტიტუციის ხელმძღვანელი, როგორიცაა მწერალთა სახლი, კატეგორიულად მიუღებელია. ის წარმოადგენს საბჭოთა ტოტალიტარული ტრადიციის ამაზრზენ გამოხატულებას და დამაზიანებელია ქართული კულტურისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის.

განცხადებას ხელს აწერენ: ლაშა ბუღაძე, გვანცა ჯობავა, იაკი კაბე, რატი მუჯირი, რატი ამაღლობელი, ბუბა კუდავა, მაშო სამადაშვილი, დალილა გოგია, თინა მამულაშვილი, დათო გორგილაძე, მაია ცირამუა, ეკატერინე ტოგონიძე, ივა ფეზუაშვილი, შოთა იათაშვილი, ბექა ადამაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, ზვიად კვარაცხელია, თამთა მელაშვილი, ბესო სოლომანაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, ბათუ დანელია, თეონა დოლენჯაშვილი, სალომე ბენიძე, გაგა ნახუცრიშვილი, ეკა ქევანიშვილი, ირაკლი ლომოური, ტორესა მოსი, წალენჯიხის ლიტერატურული ფესტივალი „გრანელი“, ზუგდიდის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი ef 5.

# ნუცა შანშიაშვილი: „თუ გინდა წყნარი, წარმატებული ცხოვრება, უნდა წახვიდე დათმობაზე“



ასე მიაჩნია მომღერალ ნუცა შანშიაშვილს:

– თუ გინდა წყნარი, წარმატებული ცხოვრება, უნდა წახვიდე დათმობაზე, რაც არ უნდა ხდებოდეს, საბოლოოდ მაინც იგებს გონიერი ადამიანი!

სულელი ნერვიულობს, ქაქანებს, გაწუხებს, გეჩხუბება. უზნეო და უტიფარი ჭორაობს, საქმეს გიფუჭებს, ზურგს უკან თაღლითობს. არაადეკვატური უბრალოდ აფრენს და ცდილობს, დაგიმტკიცოს, რომ მისი გაფრენა რეალურია.

მოკლედ, როგორსაც უნდა გადაეყაროთ, ეცადეთ, თუ გაცლა არ გამოგდით, უბრალოდ წახვიდეთ დათმობაზე, გაუღიმოთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ აყვეთ!

არ ჩაებათ პოლემიკასა და ნეგატიური სიტუაციების გარკვევაში.

რჩევა: რაც უფრო დაკავებული ხარ საკუთარი მეს განხილვით, ფიქრით სამყაროსა და საკუთარ სულზე, რაც უფრო მეტს კითხულობ საჭირო ლიტერატურას, ვითარდები მეცნიერული თვალსაზრისით, აღვივებ საკუთარ თავში ინტელექტს, დიდსულოვნებას, სიხარულს, იმედსა და რწმენას, მით უფრო გარე სამყაროს მღელვარება იწევს შენი ტვინის შეფარებით ოქროს კვეთის ბალანსზე.

ნათქვამია: ადამიანი რაც უფრო მეტს შეიცნობს, მით უფრო მეტი სევდა ემატებაო! ადამიანი, რომელიც დატვირთულია უამრავი ცოდნითა და დიდი შინაგანი ძალით, ის ცდილობს, შეუნდოს და დათმობაზე წავიდეს ყველასთან!

ომი თავიდანვე მოგონილია მათთვის, ვინც ტვინით ჩლუნგია!

გონიერი ადამიანისათვის არის სხვა გზა, გზა განვითარების, სწავლისა და შემეცნებისკენ, მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენს სიმშვიდეს რომ არ შეუშალონ ხელი აგრესიულმა ადამიანებმა, თქვენ მათ უნდა დაუთმოთ, გაუღიმოთ და გაეცალოთ ისეთი სისწრაფით, რომ თვითონ ვერც კი მოასწრონ გააზრება რატომ და რისთვის!

დრო ითვლის! ნუ დახარჯავ შენს ძვირფას წუთებს ომსა და დავიდარაბაზე! გამოიყენე ყოველი წამი საკუთარი თავის განვითარებისათვის!

შენ ხარ საგანძური, რომელმაც უნდა მოასწროს გახსნა და გაბრწყინება აქ ამ დედამიწაზე!

ღმერთის შვილები ვართ ჩვენ და არა მონები, ამიტომ, როგორც ყველაზე მოსიყვარულე მშობელს, ჩვენ მას ვჭირდებით ძლიერნი, მშვენიერნი და განვითარებულები!“

# ოთო ბაზერაშვილმა პრაღაში გრან პრი მოიგო



მუსიკალური შოუ „რანინას“ ერთ-ერთმა მონაწილემ, მომღერალმა ოთო ბაზერაშვილმა ჩეხეთში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „სულიკო“ მიიღო მონაწილეობა.

ქართველმა კონკურსანტმა მთავარი პრიზი – გრან პრი მოიგო:

– პრაღაში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი „სულიკო“, რომლის გრან პრის მფლობელი და ორგანიზატორის სიმპათია გახდა „რანინას“ ოჯახის წევრი ოთო ბაზერაშვილი, – ნათქვამია „რანინას“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მომღერალთა გუნდი; 2. თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა; 3. ჭადრაკის წინამორბედი ინდური მაგიდის თამაში; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ვენეციური ნავი; 8. სასადილო-სავაჭრო ძველად; 9. ხაშურის ძველი სახელწოდება; 12. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 14. ქართველი ქიმიკოსი, მრეწველი, პოპულარული უალკოჰოლო სასმელების შემქმნელი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად:** 1. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომელიც შეიცავენ რაიმე სახის ცნობებს, ინფორმაციას; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 9. ზღვის ლაბისებრი ცხოველი; 10. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 13. ლუდის სასმელი კათხა; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. პატარა ალამი, დროშა; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 20. ლეონარდო და ვინჩის შედევრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

